ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · სამშაბათი, 28 აპრილი 1998 №62 (597) · ფასი 40 თეთრი


## დღეს: ვითა — აზოტი ფინალის პირველი მატჩი

დღეიდან სპორტის სასახლეში საქართველოს ხუთგზის ჩემპიონები, თბილისის ვითელები და ორგზის ბრინჯაოსმედალოსნები, რუსთავის აზოტელები ქვეყნის პირველი გუნდის წოდებისთვის ბრძოლას იწყებენ იხილეთ მეხუთე გვერდი



გოდერძი კობახიძეს („ვითა“) რუსთაველ ირაკლი ჯაფარიძესთან ძნელი დუელი მოუწევს

## მეორედ აფრიკაში

### პარასკევს საქართველოს ნაკრები ტუნისს მიფრინავს

საქართველოს ეროვნული გუნდის ხელმძღვანელობამ გუშინ ის 16 ფეხბურთელი დაგვისახელა, ვინც 2 მაისს ტუნისის ნაკრებს დაუპირისპირდება.

ვლადიმერ გუცაევის სიაში არ არის რუსეთის ლიგაში მოთამაშე არც ერთი ფეხბურთელი. მიზეზი უბრალოა, „ალანიას“ უფროსობას ჩვენებისთვის უთხოვია, ჩალაძე და გახოკიძე ოღონდ ახლა დაგვითმეთ, სხვა დროს უპრობლემოდ გამოვუშვებთ შეკრებებზე, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება თქვენებური ბიჭებიო. ჩვენებმაც გაუგეს. სამაგიეროდ, ვლადიმერ გუცაევმა და ამალამ პრინციპულობა გამოიჩინა „აიაქსთან“ მიმართებაში, მორტენ ოლსენს შოთა არველაძე არ დაანება, ისევე როგორც გაჭირვეულებულ დალგლიშს თემურ ქეცბაია.

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| ნიკა ტოგონიძე | ბათუმი |
| დავით გვარამაძე | სკონტო |

**მცველები**

| | |
|---|---|
| გელა შეყილაძე | ბათუმი |
| კახა ცხადაძე | მანჩესტერ სიტი |
| ლევან ცქიტიშვილი | დინამო |
| გივი დიდავა | დინამო |
| კახა კალაძე | დინამო კ |
| ლევან სილაგაძე | სკონტო |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი |
| გიორგი ნემსაძე | გრასჰოპერი |
| გოჩა ჯამარაული | ტრაბზონსფორი |
| გიორგი ქინქლაძე | მანჩესტერ სიტი |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| თემურ ქეცბაია | ნიუკასლი |
| შოთა არველაძე | აიაქსი |
| არჩილ არველაძე | ბრედა |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი |

ამათგან, მხოლოდ კილაძე გვარამაძე და სილაგაძე შეუერთდებიან საქართველოში მოთამაშე ნაკრების დანარჩენ წევრებს და დღეიდან, კალაძის გამოკლებით, დილმის ბაზაზე იური სტალუხინი ავარჯიშებთ. კალაძე თბილისში 29-ში ჩამოვა. სხვა ლეგიონერები კი აქედან წასულებს ტუნისში შეუერთდებიან. ნაკრებში, დღეისათვის ოპტიმალური შემადგენლობაა გამოძახებული. ჰოდა, 2-ში იქაური დროით ხუთის ნახევარზე სწორედ ესენი შეეცდებიან ხელმეორედ დასწყვიტონ გული აფრიკელ არაბებს.

ქართველებს შავ კონტინენტზე ნიგერიული სირცხვილის მობანაც ევალებათ.

**ძოგბა ინასარიძე**

## სასამართლო მოდის?

### კოლხეთი ჩივის, ტორპედო აპროტესტებს, მალაღურაძე კი უცოდველობას იჩემებს

ხუთშაბათის „სარბიელში“ ქუთაისის „ტორპედოს“ პრეზიდენტის, ბესიკ ჯიქიას მონოლოგმა ბევრი ალაშფოთა. „კოლხეთის“ მწვრთნელის ნაამბობი — ჯიქიას განცხადების პასუხი — შაბათს დავბეჭდეთ. დღეს კი კიდევ ერთი დაზარალებულის, მსაჯ მერაბ მალაღურაძის კომენტარს და ბესიკ ჯიქიასვე სოსო ფილიასადმი პასუხს გთავაზობთ.

ცნობისთვის: მერაბ მალაღურაძე უკვე მეორედ გაეხვია შარში. შარშანდელი ჩემპიონატის მიწურულს „დინამო“ — თსუ სწორედ მან იმსაჯა და სტუდენტთა მეკარე ბათიაშვილი მოედნიდან გააძევა. ამ ფაქტით გაგულისებულმა თსუ-ს მაშინდელმა პრეზიდენტმა მატჩის შემდეგ „სარბიელის“ კორესპონდენტს უთხრა, მალაღურაძეს ფოთის „კოლხეთმა“ ფული მისცა, რათა ბათიაშვილისთვის წითელი ამოეღო და მერე ფოთელებს თსუ-სთვის მოეგოთო. მაშინ „კოლხეთი“ ჩივილს აპირებდა, მალაღურაძე დუმდა. თუმცა ყველაფერი მოგვარდა — ზაალ ცხვარაძემ საჯაროდ მოიხადა ბოდიში.

ახლა სხვა ვითარება კია, მაგრამ საქმის არსი იგივეა. მთავარი მოქმედი პირნი ისევ „კოლხეთი“ და მერაბ მალაღურაძე არიან. ამჯერად მსაჯმა ველარ მოითმინა, ფოთელთა დარად, ისიც სასამართლოში აპირებს სარჩელის შეტანას, თუმცა ჯიქია აცხადებს სასამართლოში თუ მიჩივლებენ მოხარული ვიქნები. იმედია, ჩემს სიმართლეს იქ მაინც დავადგენო.

იხილეთ მეორე გვერდი

## ქუთაისელები ზღვაზე და კოსმოსში აია კი დაიშალა...

„ფულს არა ვთხოვთ, წყალი გვინდა...“ თუ გახსოვთ, ამ ორი თვის წინ ასე დავასათაურეთ საუბარი ქუთაისის „აია-ჰეი“-ს მთავარ მწვრთნელთან ბათლომე ხამაშურიძესთან. იგი მაშინ უსახელოვანეს ქართულ კლუბში შექმნილი მდგომარეობის გამო წუხდა და ელემენტარული საკითხების მოგვარებაში კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ქალაქის მერიისგან ითხოვდა დახმარებას. ელემენტარულ საკითხებში უმთავრესად გუნდისთვის სავარჯიშო პირობების შექმნა იგულისხმებოდა. „დანარჩენს თავად მივხედავთ“ — გვარწმუნებდა ბატონი ბათლომე, რომელიც კლუბის ძირითადი დამფუძნებლის შპს „ძველი ქუთაისის“ ხელმძღვანელიც გახლავთ და თავისი წილი ვალდებულებებიც აკისრია მორაგბეებთან.

ორი თვეც გაილია და არაფერი შეცვლილა. მორაგბეთა სასიკეთოდ ნაბიჯიც კი არ გადადგმულა. გუნდი პრაქტიკულად არც შეკრებილა. „აია-ჰეის“ არც საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის ბიძინა გეგიძის სტუმრობამ უშველა. ქუთაისური გუნდის მონაწილეობა ქვეყნის პირველობაში მაინც ღია კითხვად დარჩა, არადა, „აია-ჰეის“ 2 მაისს თბილისში უწევს თამაში ასკ-თან. რაგბის კავშირში განაცხადეს, წარდგენის ვადა დღეს იწურებაო და... გუშინ საღამოს გუნდში შექმნილმა გაურკვევლობამ თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია. მორაგბეებმა საგანგებო კრება მოაწყვეს. აქ გაცხადდა, რომ შვიდი მოთამაშე ტოვებს „აიას“ და ბათუმში ახალშექმნილ კლუბს უერთდება, ორი ქუთაისელი ასკ-ში აპირებს გადაბარგებას, ერთიც „გუმარში.“ სხვებსაც უნდათ წასვლა, მაგრამ არ იციან, საით. ალბათ ხვდებით, ლაპარაკი გუნდის წამყვან მოთამაშეებზეა. „აიაში“ დარჩენის მსურველთა სია მთლად რომ შეთხელდა, ანტილოპამ ველარ მოითმინა: თუ ეგრეა, მეც მივდივარო, ჩათვალეთ, რომ მთავარი მწვრთნელი აღარა ვარო და იქაურობას გაეცალა. მალე ბიჭებიც დაიშალნენ. ვინ სახლში წავიდა, ვინ საით... „აიას“ განაცხადს დღეს ელიან რაგბის კავშირში. ღამით თუ არ შეიცვალა რამე, დიდხანს მოუწევთ ცდა...

იქნებ აქ მოსატანიც არ იყოს, მაგრამ კვლავაც ჩამესმის კრებაზე „აიას“ მცველის გიორგი ჩუბინიძის ნათქვამი: „ხომ ხედავთ, ქალაქში რაგბი არავის უნდა. აბა, მცხეთაში ფეხბურთზე რვა ავტობუსი ხალხი წაიყვანეს სალრიალოდ და ქვების სასროლად. 8 ავტობუსი ჩვენ მთელ ჩემპიონატს მოგვარონიებდა. „დინამოს“ მოგებისთვის „ტორპედოს“ იმხელა ჯილდოს დაპირდნენ, ჩვენ ორ სეზონს თავისუფლად გავიტანდით თავს“. კარგი იქნებოდა, გიორგის რომ ვინმე შეპასუხებოდა, მაგრამ კრებაზე მოწვეულთაგან ორი კინკილა ჟურნალისტის გარდა მოსვლა არც არავინ იკადრა.

ერთი სიახლეც და მოვრჩეთ: როგორც შევიტყვეთ, ქუთაისელი მორაგბეები დედაქალაქს და ზღვისპირეთს აღარ კმარობენ. რვა მათგანი კოსმოსში აპირებს განავარდებას. ყოფილი აიელები ემზარ ძაგნიძე, პაატა ძოწენიძე, გელა ფირცხალავა, ნიკა აბდალაძე, ზურაბ აფრიდონიძე და ბოლო ხანს ტაგანროგის „რადუგაში“ მოთამაშე ალეკო მარგველაშვილი, ზაზა ჩირგაძე და ზაზა შვანგირაძე მოსკოვის ოლქის ქალაქ ოდინცოვოს „კოსმოსში“ მოგვევლინებიან. კიდევ ერთი ქუთაისელი, პაატა ტყაბლაძე კი მოსკოვის „ფილის“ წევრი გამხდარა.

**იუზა კაციტაძე**
**ქუთაისიდან**



ბათლომე ხამაშურიძე: ყველა თუ მიდის მეც წავალ!

## ხვიჩა ბიჩინაშვილი ევროპის ვიცეჩემპიონია!

სიტყვის კაცი გამოდგა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია. მინსკში, ევროპის ჩემპიონატზე წასვლის წინ ცოტა თქვა და ნაღდი, უმედლოდ არ დავბრუნდებითო. მასაც და ჩვენც 76 კგ წონაში მოასპარეზე ხვიჩა ბიჩინაშვილმა გაგვიმართლა: სამწუხაროდ, ხვიჩა ოქროს ველარ შესწვდა, მაგრამ ვერცხლის მედალიც დიდი წარმატებაა ახალგაზრდა ფალავნისთვის.



ხვიჩა ბიჩინაშვილი

# მერაბ მალაღურაძე: ჯიქია ეჭვიანია და სიზმარა

## სად რუსთავი და სად გორი

დღემდე გაუგებარია ბატონ ჯიქიას საქციელი. ძალიან მაინტერესებს, რა არგუმენტებს იშველიებს იგი, რა ფაქტებს ეყრდნობა საერთოდ, რა კავშირი აქვს ერთმანეთთან „რუსთავ“ — „ტორპედოსა“ და „დილა“ — „კოლხეთის“ მატჩებს? თუ ჯიქიამ „ტორპედოს“ ყოველ ფრესა და წაგებას მსგავსი განცხადებები მოაყოლა, კარგად ყოფილა მისი საქმე.

მერაბ მალაღურაძე განცვიფრებული გახლდათ. მერე ხუთშაბათის „სარბიელის“ პირველ გვერდს შეავლო თვალი და ბრალდებებს თავადვე უპასუხა, ჩვენ კითხვაც არ დაგვისვამს. უბრალოდ, მისი პოზიცია დავაფიქსირეთ.

## არჩათვლილი გოლი

— ყოველთვის ვამბობ და ასეა — სჯობს, თამაშგარე სწორად და გვიან დააფიქსირო, ვიდრე სწრაფად და შეცდომით. რა მნიშვნელობა აქვს, ფეხბურთელი ხუთ მეტრს გაირბენს თუ ათს? სხვათა შორის, ბატონმა ჯიქიამ „რუსთავ“ — „ტორპედოს“ მატჩის ფირი რომ იხილა, გაჩუმდა, თამაშგარეზე ხმა აღარ ამოუღია. ახლა ამბობს, მალაღურაძემ სამი წუთით ადრე დაამთავრა მატჩიო.

## წითელ-ყვითლებზე

ბატონი ჯიქია ეჭვიანი კაცია, იმ თამაშის ფირს კიდევ ბევრჯერ ნახავდა. ერთი მაჩვენოს და მითხრას, სად, როდის იყონდა, დღეს კი მაინც მსაჯობს და იგივეს აკეთებს, რისთვისაც დაისაჯაო. გეტყვით, რომ ჯიქიამ 23 აპრილსვე შეიტანა ფედერაციაში პროტესტი. მე კი ერთწლიანი დისკვალიფიკაცია არ მქონია, ბოლნისში თამაშამდე 12 წუთით ადრე მისვლისთვის ორი მატჩით ამიკრძალეს მსაჯობა. მხოლოდ ეგ იყო.

## ფოთში

ჯიქია ამბობს, თითქოს „დინამოს“ ფოთში წავაგებინე. ვინ უთხრა, რომ წავაგებინე? ამ მატჩის ვიდეოფირიც არსებობს და ნახოს. „დინამოს“ არ ჰქონია პრეტენზია, ჯიქია რაღა შუაშია?

როგორ ვარ „კოლხეთის“ არბიტრი, როცა „ტორპედო“ — „ოდიშის“ მატჩი მე ვიმსაჯე და ქუთაისელებმა 4:1 მოიგეს. გარდა ამისა, „დინამო“ — „კოლხეთის“ პირველი წრის შეხვედრაც მე მომანდეს და თბილისელებმა მოიგეს. აქედან გამომდინარე, მალაღურაძეა „ტორპედოს“ მსაჯი. თუ საბოლოო შედეგი „ტორპედოს“ სასარგებლოდაა, ჯიქია დუმს, სხვა შემთხვევაში კი მალაღურაძეს ფოთის მსაჯს უწოდებს. მე ჩემი თავისა და სიმართლის მსაჯი ვარ.

## თუ უნდოდა

„ტორპედოს“ პრეზიდენტს თუ უნდოდა, ფედერაციაში ეთქვა და „რუსთავთან“ მატჩზე ლაცაბიძე — გუნთაძე — მალაღურაძიდან არც ერთს არ დაუნიშნავდნენ. ერთი სიტყვა იყო საჭირო. ჯერ პრეტენზია



მერაბ [illegible] ფოტო

მერაბ მალაღურაძეს მსაჯობისას იშვიათად რომ რამე გამოეპაროს

საჭირო, ყვითელი ან წითელი ბარათის ამოღება? არაპრინციპული პოზიცია აქვს, დღეს ერთს ამბობს, ხვალ — მეორეს.

## ვანგა

ერთხელ ვანგას ესიზმრა — 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ორი „ბ“ ხვდებოდა ერთმანეთს. ბრაზილია — ბულგარეთს გულისხმობდა. არ გამართლდა ნათელმხილველის წინასწარმეტყველება. აი, ჯიქია კი თურმე არ ცდება. ყველა სიზმარი უხდება. ეტყობა, ისიც ესიზმრა, რომ მე „რუსთავთან“ თამაშის დღეს ფოთელებს ვესაუბრებოდი. თუ მართლაც მოხდა ასეთი ფაქტი, მაშინ „ტორპედოს“ პრეზიდენტი იმ ფოთელთა ვინაობასაც დაასახელებდა. რამდენიმე წელია, ფეხბურთშია და ყველას კარგად იცნობს.

## დელეგატი

ჩემს სამსაჯო კარიერაში რუსთავში პირველად მოხდა, როცა ერთ-ერთი გუნდის პრეზიდენტი შემოვიდა და თქვა, არ დამწვათო. რატომ გვითხრა, არ ვიცი. სხვები, პირიქით, კარგ მსაჯობას გვისურვებენ ხოლმე. ჯიქიას ფედერაციის დელეგატმა გურამ პეტრიაშვილმა მხოლოდ ეს უთხრა, თუ პრეტენზია გექნება, მე მომმართეო. საერთოდ, ოქმის შემვსებთა გარდა მსაჯთა ოთახში არავის არაფერი ესაქმება.

## ხუთასი ლარი და არა ათასი დოლარი

ჯიქიამ ისიც არ იცის, რომ საჩივრის სანაცვლოდ ფეხბურთის ფედერაციაში 500 ლარია შესატანი და არა 1000 დოლარი. ხომ თქვა, „სარბიელში“, გასაჩივრებას რა აზრი აქვს, ეს დებილებისთვის მოგონილი წესია, მე კი არ მინდა, დებილის როლში გამოვიდეო... მალაღურაძეს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა. მატჩი რომ ფრედ დამთავრდა, მერეღა გამოთქვა უკმაყოფილება.

## მიზეზი

არც ერთი ფოთელი არ მინახავს, „დინამოსთან“ მატჩის მერე. ჯიქიასთვის რომ რაიმე მიზეზი მიმეცა, ის ყველაფერს ზუსტად იტყოდა, საათსაც კი. არასდროს არავისთვის არ მიმიცია საბაბი, ჯიქიას მსგავსი განცხადება გაეკეთებინა.

## ეჭვი

ჯიქია ეჭვიანი იმდაა, რომ თავადვე აგზავნის ხალხს სხვა გუნდების მატჩებზე დასასწრებად. რატომ? არ ვიცი, თავად თქვას. თუ თვითონ არ ახსოვს, მე დავუსახელებ ქალაქებს.

## დირექტივა

მე უცოდველი ვარ. არასდროს მიმიღია დირექტივა, ასე და ასე იმსაჯეო. განზრახ არაფერი გამიკეთებია, შეცდომა კი ყველას მოსდის.

## სარჩელი

ჯიქიას სასამართლოში ვუჩივლებ. ჯერ არ გადამიწყვეტია, რომელ რაიონში. შეიძლება დიდუბეში შევიტანო სარჩელი, იქ სადაც ფეხბურთის ფედერაცია მდებარეობს, ანაც საბურთალოზე, ჩემი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ვნახოთ.

ინტერტოტოს მატჩს ვმსაჯობდი, ავსტრიაში, ადგილობრივი „კაზინო“ ხორვატიის „დრაგოვოლიაცს“ მასპინძლობდა. მოედნიდან კაზინოელი ფეხბურთელი გავაძევე. თამაშის მერე „კაზინოს“ წარმომადგენელი მოვიდა და მითხრა, გმადლობთ ჩემიანის გაძევებისთვის, ის ჭკუას ისწავლისო. ბატონი ბესო ჯიქია, სამწუხაროდ, ასეთ რამეს არასდროს გააკეთებს.

**ძოგა ინასარიძე**

# ბესიკ ჯიქია: ფოთს და ქუთაისს მარტო რიონი არ აკავშირებს

ვერ გამიგია, რამ აღაშფოთა სოსო ფილია. მითუმეტეს მას შემდეგ, რაც „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტთან საუბარი მქონდა? ყველაფერი გამიზნულ პროვოკაციას ჰგავს — მაშ, რა საჭირო იყო პოლიციის წინასწარ გაფრთხილება ჯერ კიდევ ფოთში გასამართი მატჩის წინ? ეს ხომ ცეცხლზე ნავთის დასხმა და უშუალო გზაა „ტორპედოსა“ და „კოლხეთის“ გულშემატკივრებს შორის ურთიერთობების გამწვავებისკენ. ბატონ ფილიას ეგებ სურს კიდეც წესრიგის დამცველთა სტადიონზე მიყვანა, მაგრამ არა მგონია, ამის საქვეყნოდ თქმა უპირიანი იყოს. გაუგებარია, კონკრეტულად ვინ, ან რით არის უკმაყოფილო. ჩვენ ხომ „კოლხეთთან“ მხოლოდ ფეხბურთის თამაშს ვაპირებთ. თუკი ფეხბურთის გარდა კიდევ რაიმე იქნება ფოთში, ეს, უპირველესად, ბატონ ფილიას დამსახურებით. მას, ალბათ, ძველი დრო ჰგონია, რაკი აზრის გამოთქმას მიკრძალავს, მით უმეტეს, ეს არც ცილისწამებაა და არც ვინმეს შეურაცხყოფა, რაც ჩემგან თქმულა პირველად. ვისაც უნდა, მიმართოს, სადაც უნდა, მიჩივლოს. არც „სამგურალი“ — „კოლხეთის“ მატჩის გა-ხსენება ჩაეთვლება ფილიას კარგ საქციელად. მე და ბატონმა ხაინდრავამ („კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტი) ხომ საკმაოდ ვისაუბრეთ ამ შეხვედრის შესახებ და საოცარია, რომ ამ სჯაბაასის შემდეგ ისევ მე მომიხდა ფოთელთა წარმომადგენლების მიერ გავრცელებული ჭორების გაფანტვა. მიკვირს, რატომ არ მოსთხოვა „კოლხეთის“ ხელმძღვანელობამ პასუხი ფეხბურთის ფედერაციას — ეს შეხვედრა ხომ შეცდომებით იყო აღსავსე და მაყურებელს მხოლოდ ჩხუბით დაამახსოვრდა. იქნებ დაპირებებით იყიდეს მათი დუმილი? აი, როდის უნდა შეშფოთებულიყო ფილია, პირში წყალი რომ ჩაიგუბა. ამაოდ ცდილობს ბატონი სოსო ჩემს დაშინებას — სულაც არ ვაპირებ ხვეწნა-მუდარას, არიქა, არ მიჩივლოთ-მეთქი. გაიხსენოს ნოზაძის ტრანსფერი. ის თანხა, ფოთელებს „ტორპედოსი“ რომ მართებთ. ბატონო სოსო, თუ გნებავთ, თავად მოგაწვდით მასალას, რომელიც საშუალებას მოგცემთ, აღძრათ საქმე.

ფილიას ტყუილიც კარგად ემარჯვება, რის გამოც გვარიანად ავნო „ტორპედოს“. მის მიერ გაცურებული ოთხი ქუთაისელი ტრავმებით გატანჯული ჩამოვიდა ფოთიდან, სადაც მათ არც ერთი პირობა არ შეუსრულეს. აი, სიმართლე, რომელმაც ხელი შეგვიშალა, წარმატებით გვეასპარეზა პირველ წრეში. ბატონო სოსო, გაფრთხილებთ — თუ მაინც მოინდომებთ ამ საქმის აღძვრას, უცილობლად წააგებთ.

თქვენ გაინტერესებთ, რატომ იყვნენ ჩვენი წარმომადგენლები ჭიათურაში. გიპასუხებთ — მათ იქ ვიდეოფირზე აღბეჭდეს თამაში. მატჩს კი ჯემალ ხერხაძე და მურად ქუთათელაძე ესწრებოდნენ. ასევე მოხდა ლანჩხუთში, ფოთსა და წყალტუბოში. თუ ვერ გაგიგიათ, რატომ დადიან სპეციალისტები თამაშების სანახავად, არ გცოდნიათ, რა არის მწვრთნელობა და ესაა. იმასაც მოგახსენებთ რატომ ვხვდებოდი ყოველი მატჩის შემდეგ ვახტანგ ხაინდრავას. იმიტომ, რომ მასთან მეგობრობა მაკავშირებს და საერთოდ, ჩემგან ამაოდ ელიან მორიგ ქართულ საფეხბურთო სკანდალს. ამ დაპირისპირებაში არც ერთი მხარე იქნება გამარჯვებული — ფილია წინასწარვე მარცხისთვისაა განწირული, მე კი სულაც არ მსურს ამ დავაში მოგებულის როლში ყოფნა.

თუ თქვენ „სარბიელში“ გამოქვეყნებული წერილის სათაური გაღიზიანებთ, ღმერთმა იცის, ამაში წვლილი არ მიმიძღვის. „სარბიელს“ მე ვერ ვუკარნახებ როგორ დაასათაუროს.

მე კი ყველას ვპირდები — „ტორპედო“ ფოთში ფეხბურთის სათამაშოდ ჩავა და ეს ჭეშმარიტი დღესასწაული იქნება.

ერთიც უნდა გვახსოვდეს, ფოთს და ქუთაისს მხოლოდ რიონი არ აკავშირებთ.

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისის** ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაყაბულდა ჰოლანდიის გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელ იაპ სტამში 16,7 მილიონი დოლარი გადაიხადოს. „ეინდჰოვენის“ მცველს მანჩესტერელები თითქმის ერთი თვე ეჩიჩინებოდნენ და საბოლოოდ დაითანხმეს კიდეც. იაპ სტამი სეზონის გასრულების შემდეგ ინგლისს მიაშურებს და კონტრაქტსაც გააფორმებს, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ვარჯიშს მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დაიწყებს.

**გერმანიის ნაკრების მეკარე ანდრეას კეპკე ამ უქმეებზე, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, მარსელის „ოლიმპიკის“ ხელმძღვანელობას შეხვდება და თავის შემდგომ კარიერაზე ისაუბრებს. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ კეპკეს კლუბში დარჩენა სურს, თუმცა ჯამაგირი არ აკმაყოფილებს. საუბარი ძირითადად ხელფასის ირგვლივ წარიმართება. ამასთანავე ისიც ცნობილი გახდა, რომ მასპინძლებს პსჟ-ს თავდამსხმელ ფლორიან მორისის შეძენა სურთ და მზად არიან, 5 მილიონი დოლარიც გაიღონ.**

**ინგლისის** შინაგან საქმეთა მინისტრი ჯეკ სტროუ თანახმაა, „ბლექბერნ როვერსის“ საპატიო ვიცე-პრეზიდენტი გახდეს. კლუბის მფლობელი ჯეკ უოლკერი, როგორც ჩანს, ჩინიანი ხალხის „ბლექბერნით“ დაინტერესებას ლამობს — 20 წლის წინ უოლკერის წინადადებით კლუბის საპატიო ვიცე-პრეზიდენტობა მარგარეტ ტეტჩერმა „იტვირთა“.

**ესპანეთის „ტენერიფეს“ თავდამსხმელი როი მაკეი შეიძლება ახალ სეზონს ბრიუსელში, კერძოდ „ანდერლეხტში“ შეხვდეს. 21 წლის ფორვარდი „ტენერიფეში“ გასული სეზონის ბოლოს გადაბარგდა ჰოლანდიური „ვიტესიდან“, მაგრამ ვერ იქნა და ძირითადში ადგილი ვერ დაიბევა. რამდენიმე დღის წინ „ტენერიფეს“ ხელმძღვანელობას „ანდერლეხტის“ ორი წარმომადგენელი შეხვდა და მაკეის ბედზე ისაუბრეს. ისე, თავდამსხმელს ესპანურ კლუბთან კონტრაქტი 2003 წლის ივნისამდე აქვს.**

**იტალიის** „მილანი“ მზადაა, 9,8 მილიონი დოლარი გადაუხადოს ლა კორუნიის „დეპორტივოს“, თუ ეს უკანასკნელი მას ბრაზილიელ ნახევარმცველ ფლავიო კონსეისაოს დაუთმობს. მილანელები ესპანელთ ბრაზილიელში ადრე 7,9 მილიონ დოლარს სთავაზობდნენ, ახლა კი თანხა გაზარდეს. „დეპორტივოს“ პრეზიდენტმა აუგუსტო სეზარ ლენდოირომ განაცხადა, კონსეისაოსთან გაყიდვა-არგაყიდვის საკითხს ჯერ ვერ გადავწყვეტ, შემოთავაზებული წინადადების არსს არ გავცნობივარო. თუ მოხდა და კონსეისაო მილანს გადაბარგდა, მას სეზონში 1,2 მილიონ დოლარს გადაუხდიან.

**სამხრეთ ამერიკაში მიმდინარე ლიბერტადორესის თასი გათამაშების მეორე წრის ერთი შეხვედრა შედგა გასულ კვირას: მექსიკურმა „ამერიკამ“ და არგენტინულმა „რივერ პლეიტმა“ ფრედ 1:1 ითამაშეს.**

**შოტლანდიის** საუკეთესო ფეხბურთელად ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად გლაზგოს „სელტიკის“ მოთამაშე ჯეკი მაკნამარა დაასახელეს. ნახევარმცველს, რომელიც ადრე მცველად თამაშობდა, მართლაც შესანიშნავი სეზონი ჰქონდა, რასაც ნაკრებში მიწვევაც დაერთო.

**სამხრეთ აფრიკის ნაკრებს მომავალ წელს ფიფას ნაკრები დაუპირისპირდება. ამ ამხანაგური შეხვედრით ქვეყნის პრეზიდენტ ნელსონ მანდელას თანამდებობიდან წასვლა აღინიშნება.**

**ინგლისის** პირველი დივიზიონის ლიდერმა „ნოტინგემ ფორესტმა“ განაცხადა, ყაბულსა ვართ, 5,8 მილიონი დოლარი გადავიხადოთ, თუ „ბრონდბიუ“ თავდამსხმელ ებე სანდს დაგვითმობსო. სანდი 25 გოლით დანიის ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერია. ნორვეგიელებთან 0:2 მარცხისას კი ნაკრების მაისური პირველად მოირგო.

**ჩილელ ივან სამორანოს „ინტერის“ ხელმძღვანელობისთვის გულისწადილი გაუმხელია, სეზონის ბოლოს სხვაგან გადასვლა მინდაო. თავდამსხმელის აგენტმა ხონეს კარბახალმა განაცხადა, ივანს „ინტერის“ დატოვება იმიტომ მოუწადინებია, რომ ძირითადში ადგილი გარანტირებული არ აქვსო. 31 წლის თავდამსხმელმა „ინტერის“ ძირითადში ადგილი მილანში რონალდოს ჩასვლის შემდეგ დაკარგა. სამორანოს შეძენის სურვილი ესპანეთის „ვალენსიამ“, „სელტამ“ და „ბეტისმა“, ასევე დორტმუნდის „ბორუსიამ“ გამოთქვა.**

**უელსის** ნაკრები ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ორ მეტოქეს — იტალიას და დანიას ინგლისში, კერძოდ კი „ლივერპულის“ სტადიონ „ენფილდ როუზი“ უმასპინძლებს. წელს, 4 ივნისს უელსი იტალიას დაუპირისპირდება, გაისად 9 ივნისს კი დანიას. თამაშების ინგლისში გადატანა იმიტომ გახდა საჭირო, რომ უელსის ეროვნული სტადიონის შემცვლელი 73 ათას ადგილიანი „მილენიუმის“ აგება ამ დროისთვის ვერ მოხერხდება.

**ინგლისის ნაკრების ნახევარმცველ პოლ ინსს, რომელიც 22 აპრილს პორტუგალიის 3:0 დამარცხების აღსანიშნავი ბანკეტიდან შინ ბრუნდებოდა მეუღლესთან ერთად, თავს მავანი ბოროტმოქმედი დაესხა და ტუჩი გაუხეთქა. დამნაშავე მიიმალა, თუმცა პოლიციის ძალისხმევამ შედეგი გამოიღო.**

**საფრანგეთის** „მეცის“ ნახევარმცველი რობერტ პირესი შესაძლოა სეზონის ბოლოს „არსენალში“ გადაბარგდეს. ლონდონელებმა განაცხადეს, მზად ვართ რჩეულში 13,3 მილიონი დოლარი გადავიხადოთო.

**იტალიაში სერია C-ს ერთ-ერთი თამაშისას, მსაჯმა მინდორი ვერტმფრენის საშუალებით დატოვა. „რომინის“ და „სან პიეტროს“ 1:1 დასრულებული მატჩისას მსაჯი ანტონიო მანარას სამი მასპინძელი მოთამაშის გაძევება მოუხდა. ამის გამო იგი კინაღამ გულშემატკივართა მსხვერპლი შეიქნა, მანარიმ სტადიონის დატოვება რომ დააპირა, ქვები დაუშინეს, საბოლოოდ კი პოლიციელებს ვერტმფრენი დასჭირდათ.**

**დანიის** ჩემპიონატის 26 ტური: აბ — ბრონდბიუ 3:1, ორჰუსი — სილკებორგი 2:2, იკასტი — ფრემადი 1:2, ლიუნგბიუ — ოლბორგი 2:1, ოდენსე — კოპენჰაგენი 1:2, ვეილე — ჰერფოლგე 4:2. ჩემპიონატს 59 ქულით ლიდერობს ბრონდბიუ, მას 7 ქულით ჩამორჩება კოპენჰაგენი.

**რუმინეთის ჩემპიონატის 32-ე ტური: ფორესტა — უნივერსიტატეა (კრაიოვა) 0:1, ბაკაუ — რაპიდი (ბუხარესტი) 1:0, ნაციონალი — არჯეში 0:0, რესიტა — დინამო (ბუქარესტი) 0:0, გლორია — ჩაჰლაული 2:1, უნივერსიტატეა (კლუჟი) — სპორტული 4:0, სტიაუა — ფარული 1:0, ჟიული — პეტროლული 0:2, ოცელული — ხინდია 2:1. ჩემპიონატს 76 ქულით სტიაუა ლიდერობს. მას ორი ქულით ჩამორჩება დედაქალაქის რაპიდი.**

**იუგოსლავიის** ჩემპიონატის 29-ე ტური: ჩუკარიჩკი — ობილიჩი 1:3, რადი — ცრვენა ზვეზდა 0:1, ზემუნი — პარტიზანი 2:3, ვოივოდინა — ბუდუჩნოსტი 0:0, ჰაიდუკი (კულა) — პროლეტერი 3:1, მლადოსტი — ჟელეზნიკი 2:1. 76 ქულით პირველ ადგილზეა ობილიჩი. მას ერთი ქულით ჩამორჩება ცრვენა ზვეზდა.

**ბულგარეთის ჩემპიონატის 27-ე ტური: მინიორი — სპარტაკი (პლევენი) 3:0, ბოტევი — ეტარი 5:1, ლევსკი (სოფია) — სპარტაკი (ვარნა) 2:1, ლევსკი (კიუსტენდილი) — ლოკომოტივი (პლოვდივი) 2:1, ნეფტოხიმიკი — მეტალურგი 1:0, ოლიმპიკი — ცსკა 0:0, ლოკომოტივი (სოფია) — ლიტექსი 0:3, დობრუჯა — სლავია 1:0. ჩემპიონატს 64 ქულით ლიტექსი ლიდერობს, მეორე 58 ქულით სოფიის ლევსკი.**

## ინგლისი

### XXXV ტური

### ტოტენჰემი 2:0 ნიუკასლი

**ტოტენჰემი:** უოკერი, კალდერვუდი, ფოქსი, კარი, ვეგა, კემპბელი, ბერტი, ჟინოლა, ფერდინანდი, კლინსმანი, ანდერტონი (საიბი 69)
**ნიუკასლი:** გივენი, ბარტონი, პირსი, უოტსონი, პისტონე, ალბერი (გილესპი 49, ქეცბაია 53), დაბიზასი, სპიდი, ბეტი, შირერი, ანდერსონი
1:0 კლინსმანი (31), 2:0 ფერდინანდი (73)

— ანდერტონისგან ასეთ კარგ თამაშს არ მოველოდი. გამაოცა მისმა ძალისხმევამ, დარენს ხომ კარგა ხანია, ჩვეულად აღარ უბურთავია. დღეს იგი უდავოდ გამორჩეული იყო — მასპინძელთა ერთ-ერთი მწვრთნელი ტეილორი დარენ ანდერტონის თამაშმა აღაფრთოვანა. „ტოტენჰემის“ თავდამსხმელი მართლაც კარგად ირჯებოდა, პეტერ ტეილორი კი ფეხბურთელს დაუმსახურებლად სულაც არ აქებდა. სხვათა შორის, როცა ბოლოს „ტოტენჰემი“ ინგლისური ფეხბურთის ელიტას გამოაკლდა (21 წლის წინ), ტეილორი ინგლისის ნაკრების ახლანდელ მწვრთნელ გლენ ჰოდლთან და მის თანაშემწე ჯონ გორმენთან ერთად სწორედ ლონდონის ამ კლუბში თამაშობდა.

დღესდღეობით სიტუაცია ასეთია: „ტოტენჰემიც“ და „ნიუკასლიც“ პრემიერლიგიდან გავარდნის პირას არიან. ამ თამაშამდე მეტოქეთ სამი ქულა აშორებდათ, მაგრამ გამარჯვების წყალობით მასპინძლები ჩრდილოინგლისელებს გაუთანაბრდნენ.

— ძალიან ცუდი სეზონია. კარგა ხანია, ჩემპიონატზე არ გავწბილებულვარ. დასაწყისში მეგონა, ყველაფერი კარგად იქნებოდა. სამწუხაროა, რომ იმედი გამიცრუვდა — ინგლისის ჩემპიონატების სამგზის ბომბარდირი ალან შირერი გულდათუთქული გახლდათ.

„ნიუკასლის“ თამაშის შემხედვარეს კაცი იფიქრებდა, რომ მათ არ იცოდნენ, რა ექნათ. არა, მოგებისთვის გოლის გატანა რომ იყო საჭირო და მეტოქის კარისკენ გალაშქრება, ეს ნიუკასლელებს კი ახსოვდათ, მაგრამ როგორ, რანაირად უნდა გაეკეთებინათ, არა მგონია, სცოდნოდათ. რა დარიგებებს აძლევს დალგლიში ფეხბურთელებს, ამის დანამდვილებით გაგება ძნელია, მაგრამ, მათი თამაშიდან გამომდინარე, მწვრთნელი ფეხბურთელებს ალბათ თამაშის მნიშვნელობას უხსნის, ვიდრე ფეხბურთის საიდუმლოებას, — ნიუკასლელები გამარჯვების წყურვილით გადიან მოედანზე, ბოლომდე იხარჯებიან, შედეგი კი არ ჩანს. პრემიერლიგის ბოლო 11 შეხვედრაში „ნიუკასლმა“ მხოლოდ ერთი მოიგო.

...თემურ ქეცბაიამ 53-ე წუთზე ოთხი წუთის წინ შესული კიტ გილესპი შეცვალა. დარჩენილ დროში ნიუკასლელთაგან თუ ვინმეზე შეიძლება კაცმა თქვას, ძლიერად ითამაშაო, უპირველეს ყოვლისა ეს საქართველოს გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელზე ითქმის. მისი ორი უძლიერესად დარტყმის მოგერიება იან უოკერს ძალიან გაუჭირდა.

### ჩელსი 4:1 ლივერპული

**ჩელსი:** ხარინი, პეტრესკუ (შარვე 76), ლებეფი, კლარკი, პოიეტი, ჰიუზი (ნიკოლსი 81), დაბერი, ლე სო, დი მატეო, ნიუტონი, ძოლა (ფლო 30)
**ლივერპული:** ფრიდელი, ჯონსი, ბები, ბიორნებიუ, მატეო, კარაგერი, ლეონარდსენი (მაკატირი 76), ინსი, მაკმანამანი, მერფი (ბერგერი 72), რიდლე (ტომპსონი (76)
1:0 ჰიუზი (11), 1:1 რიდლე (45), 2:1 კლარკი (67), 3:1 ფლო (72), 4:1 ჰიუზი (78)

რა შეიძლება ითქვას ამ თამაშზე? არაფერი, ერთის გარდა — მასპინძლებმა ბრინჯაოს მედლებისთვის მებრძოლი „ლივერპული“ არ დაინდეს და რა დღეც აყარეს, ალბათ, თავად მიხვდებით.

### ბარნსლი 0:2 არსენალი

**ბარნსლი:** უოტსონი, იდენი, მოუზისი, დე ზოუ, მარსელი (უორდი 57), ბალოკი, ჯონსი, ტინკლერი (ბოზანჩიჩი 65), ბერნარდი, ფორტოფტი (ჰენდრი 75), რედფერნი
**არსენალი:** სიმენი, დიქსონი, უინთერბერნი, ადამსი, პეტი, კეონი, ანელკა (ვრე 75), ბერხკამპი, ოვერმარსი, ვიეირა, პლატი
0:1 ბერხკამპი (23), 0:2 ოვერმარსი (76)

ამ გამარჯვებით „არსენალმა“ ჩემპიონის ტიტულისკენ კიდევ ერთი და თან საკმაოდ მოზრდილი ნაბიჯი გადადგა, 110-წლიანი ისტორიის მქონე „ბარნსლი“ კი სეზონის ბოლოს, ალბათ იქ დაბრუნდება, საიდანაც მოვიდა.

### ლიდსი 3:3 ქოვენთრი

**ლიდსი:** მარტინი, კელი, უეზეროლი, ჰოდენი, ჰარტე (რობერტსონი 88), ჰალე, ჰაალანდი, ბოუერი, კიუელი, ჯიმი, უოლესი (ჰოფკინი 72)
**ქოვენთრი:** ოგრიზოვიჩი, ნილსონი, შოუ, ბრინი, ჰოლი (უილიამსი 86), ტელფერი, სოლტვედტი, ბოულენდი, ველანი, ჰაკერბი, დაბლინი
1:0 ჯიმი (16), 1:1 ჰაკერბი (20), 2:1 ჯიმი (28), 2:2, 2:3 ჰაკერბი (34, 62), 3:3 კიუელი (75)

შუა კვირაში ინგლისის ნაკრების თა-

# რაზე ფიქრობს დალგლიში?



ჩელსი — ლივერპული. ძოლას გარდა სტუმრები სხვა ჩელსელებმაც ანგრიეს

ვკაცი გლენ ჰოდლი მსოფლიოს ჩემპიონატზე გასამგზავრებელი გუნდის წევრობის კანდიდატებს გაესაუბრება. შაბათამდე ჰოდლს 58 ფეხბურთელი ჰყავდა შეგულებული, მაგრამ ჰაკერბის ჰეთ-თრიქი რომ იხილა, ნაკრების სემინარებზე 59-ედ ისიც მიიწვია.

### ბლექბერნი 0:0 უიმბლდონი

**ბლექბერნი:** ფილანი, კენა, შერვუდი, რიპლი, ანდერსონი (დალინი 65), ვალერი, ენჩოსი, დაფი, ბრუმსი, სატონი, გალაჰერი
**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, ბლექველი, ტეტჩერი, რობერტსი, პერი, ჰიუზი (ფეარი 87), ერდლი, იუელი (ეკოკუ 83), კორტი, კენედი

„არსენალთან“ ნგრევის შემდეგ „უიმბლდონის“ დაცვა გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, თუმცა მათი ახლანდელი მეტოქის, „ბლექბერნის“ „მეთოფეებთან“ შედარება მაინც არ შეიძლება. მთლიანობაში მოსაწყენ თამაშში საინტერესო ის მოხდა, რომ მსაჯმა მასპინძელთა მწვრთნელი როი ჰოჯსონი გააძევა.

### ვესტ ჰემი 2:4 საუთჰემპტონი

**ვესტ ჰემი:** ლამა, პოტსი (კიტსონი 70); ლომასი, ფერდინანდი, ლაზარიდისი, ლემპარდი, პირსი, იმპი, აბუ, ბერკოვიჩი, სინკლერი
**საუთჰემპტონი:** ჯონსი, დოდი, პალმერი, მონკუ, ლუნდეკვამი, ლე ტისიე, ოუკლი, ოსტენსტადი, ბენალი, ჰერსტი (ბეშემი 77), გიბენსი
0:1 ლე ტისიე (40), 1:1 სინკლერი (42), 1:2 ოსტენსტადი (63), 1:3 პალმერი (80), 2:3 ლომასი (82), 2:4 ოსტენსტადი (86)

რაც ბერნარ ლამა ჩადგა „ვესტ ჰემის“ კარში, ლონდონელ „ჩაქუჩებს“ მატჩში ოთხი გოლი აქამდე არ გაუშვიათ. მასპინძლების დამარცხება უპირველესი ბომბარდირის ჯონ ჰარტსონის არყოფნამაც გამოიწვია. თავდამსხმელი სეზონის ბოლომდეა დისკვალიფიცირებული, ამასთანავე 1998-99 წლების ჩემპიონატის პირველ შეხვედრასაც გამოტოვებს.

### ევერტონი 1:3 შეფილდი

**ევერტონი:** მერი, ალენი (ბიგრი 46), ბოლი, შორტი (ოსტერი 46), ბილიჩი, ტილერი (უოტსონი 85), მაკენი, ატკინსონი, ფერგიუსონი, მადარი, ბარმბი
**შეფილდი:** პრესმენი, აზერტონი, პემბრიჯი, უოკერი, უითინგემი, ბუთი, ჰაიდი (ქუინი 90), ჰინჩკლიფი, ტომი, მეჯილტონი (ბრისკო 59), დი კანიო
0:1, 0:2 პემბრიჯი (6, 41), 1:2 ფერგიუსონი (72), 1:3 დი კანიო (90)

შეფილდელები 82-ე წუთზე ათნი დარჩნენ — ბუთი მეორე გაფრთხილების გამო გააგდეს, თუმცა გოლი მაინც მასპინძელთა კარში გავიდა.

### ასტონ ვილა 1:3 ბოლტონი

**ასტონ ვილა:** ბოზნიჩი, სტონტონი (შიმეცა 32), საუთგეიტი (გრეისონი 46), ეჰიოგუ, ტეილორი, დრეიპერი, მილოშევიჩი (კოლიმორი 58), იორკი, იოაკიმი, რაიტი, ჰენდრი
**ბოლტონი:** ბრენეგენი, კოქსი, ფიში (ფეირკლაფი 52), ტომპსონი, ფილიპსი, ბერგსონი, შერიდანი, ტაგარტი, ფრანდსენი (იოჰანსენი 18), ბლეიკი, ტეილორი (ჯიალანცა 89)
0:1 კოქსი (18), 0:2 ტეილორი (41), 1:2 ტეილორი (57), 1:3 ბლეიკი (84)

გამარჯვების დროც მოსულა! — „ბოლტონს“ „ვილა პარკზე“ (ასტონ ვილას სტადიონია) აქამდე 21-ჯერ ეთამაშა და მხოლოდ ერთადერთხელ მოეგო.

### დერბი 0:4 ლესტერი

**დერბი:** პოომი, როუეტი, პაუელი (ბარტონი 73), ვან დერ ლაანი (სოლისი 46), სტარიჯი, ვენჩოპი, ბოჰინენი, ლაურსენი, კერსლი, დეილი, ბაიანო (დელაპი 46)
**ლესტერი:** კელერი, სევიჯი, ჯაპი (ალერტონი 78), კამარკი, უოლში (კოტი 73), იზეტი, ლენონი, ზაგორაკისი (ფენტონი 82), მარშალი, ჰესკი, ელიოტი
0:1 დესაი (2), 0:2 იზეტი (3), 0:3 ჰესკი (9), 0:4 მარშალი (16)

რომელ გულშემატკივართა მხარდაჭერაზეა საუბარი, როცა 15 წუთში ოთხ გოლს უშვებ? „დერბი“ მასპინძელი კი იყო, მაგრამ...

სხვათა შორის, იან მარშალმა კარიერაში მე-100 გოლი გაიტანა.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 34 | 21 | 9 | 4 | 63:28 | 72 |
| მანჩესტერი | 35 | 20 | 8 | 7 | 65:26 | 68 |
| ლივერპული | 36 | 17 | 11 | 8 | 62:43 | 62 |
| ჩელსი | 35 | 19 | 3 | 13 | 68:39 | 60 |
| ლიდსი | 35 | 16 | 7 | 12 | 53:40 | 55 |
| ბლექბერნი | 35 | 14 | 10 | 11 | 55:50 | 52 |
| ვესტ ჰემი | 35 | 15 | 7 | 13 | 49:46 | 52 |
| ასტონ ვილა | 36 | 15 | 6 | 15 | 45:47 | 51 |
| ლესტერი | 35 | 12 | 13 | 10 | 47:37 | 49 |
| დერბი | 35 | 14 | 7 | 14 | 49:48 | 49 |
| ქოვენთრი | 35 | 11 | 14 | 10 | 43:43 | 47 |
| საუთჰემპტონი | 36 | 14 | 5 | 17 | 49:52 | 47 |
| შეფილდი | 36 | 12 | 8 | 16 | 51:63 | 44 |
| უიმბლდონი | 35 | 10 | 12 | 13 | 31:39 | 42 |
| ნიუკასლი | 35 | 10 | 10 | 15 | 32:42 | 40 |
| ტოტენჰემი | 36 | 10 | 10 | 16 | 37:53 | 40 |
| ევერტონი | 36 | 9 | 12 | 15 | 40:51 | 39 |
| ბოლტონი | 36 | 8 | 13 | 15 | 36:57 | 37 |
| ბარნსლი | 36 | 10 | 5 | 21 | 37:79 | 35 |
| კრ. პალასი | 34 | 7 | 8 | 19 | 31:60 | 29 |

## პირველი დივიზიონი

### სიტი 2:2 ქუინზ პარკი

**სიტი:** მარგეტსონი, ედჯილი, ჰორლოკი, ბრენი (რასელი 88), საიმონსი, ვიგენი, ჯეფ უაიტლი, პოლოკი (ბიშოპი 84), გოატერი, ქინქლაძე (დიკოვი 73), ბრედბერი
1:0 ქინქლაძე (1), 1:1 შერონი (8), 1:2 პოლოკი (21ს.კ.), 2:2 ბრედბერი (48)

გიო ქინქლაძემ „მანჩესტერ სიტის“ სარბიელ „მეინ როუდზე“ ბოლო შეხვედრა ითამაშა. მანჩესტერელ გულშემატკივრებთან გამოთხოვება მას შესანიშნავი გამოუვიდა, უკვე — მე-40 წამზე (!) დაახლოებით 25 მეტრიდან ჯარიმა გოლად აქცია, მაგრამ რად გინდა? იქით დაბნეული მარგეტსონი, აქეთ საკუთარ კარში გოლების გატანას მოწყურებული პოლოკი. ერთი სიტყვით, „სიტი“ თუ მეორე დივიზიონში გავარდა გასაკვირი არ იქნება.

გუნდები მოედანზე გამოდიოდნენ, როცა ქუინზპარკელთა უელსელი მცველი ვინი ჯოუნსი ქინქლაძეს უმიზეზოდ მიეჭრა და თავის სახეში დარტყმა დაუპირა. იქვე მდგომმა სტიუარდებმა (მოხალისე წესრიგისდამცველნი) გადარეული ჯოუნსი და გაკვირვებული ქინქლაძე ერთმანეთს დააშორეს, თუმცა დასაშორებელი არც არაფერი იყო. უბრალოდ, უელსელმა წამიერად გააფრინა. ვისაც ჯოუნსის გვარი არ გეცნოთ, შეგახსენებთ, რომ ეს ის კაცია, 1995 წლის 7 ივნისს, კარდიფში, უელსსა და საქართველოს ნაკრებებს შორის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მიშა ყაველაშვილთან უხეშობის გამო რომ გააგდეს.

ჯერჯერობით ჯონსის ამბავი არ გარკვეულა, ფეხბურთის ასოციაციაში მატჩის ვულვერჰემპტონელი არბიტრის კევინ ლიჩის მოხსენებას ელიან.

შეხვედრის შემდეგ „სიტის“ გულშემატკივრებმა საპრესკონფერენციო დარბაზში შეპარვა მოახერხეს. იქ კი საყვარელი გუნდის თავკაც ჯო როილს აუხირდნენ, ქინქი რად შეცვალეო. მწვრთნელმა მიუგო, თამაშის წინ ქინქლაძეს ვუთხარი, თავი თუ ცუდად იგრძენი, მითხარი და გამოგცვლიო. როილი მართალი იყო. მატჩის შემდეგ გიოს რომ ვესაუბრე, მითხრა, ორი კვირის უვარჯიშებელს ერთი საათის შემდეგ თვალთ დამიბნელდა, გული ხელში მეკავა, მინდორიც მიტომ დავტოვეო.

„მანჩესტერ სიტი“ ისტორიის მანძილზე მეორე დივიზიონში არასდროს დაქვეითებულა. ახლა ეს საფრთხე ემუქრება.

**დავით მჭედლიშვილი**
**მანჩესტერიდან**

## ბელგია

ჰოლანდიისა და ესპანეთის ჩემპიონატების დარად, ბელგიაშიც ვადაზე ადრე გაირკვა გამარჯვებულის ვინაობა. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონობა „ბრიუგემ“ მოიპოვა. ახლა მათ ბრწყინვალე შანსი აქვთ, ბოლო სამ სეზონში მეორე დუბლი შეასრულონ. კვირის მატჩი, რომელშიც ჩემპიონებმა „ანდერლეხტს“ გასვლაზე 1:0 მოუგეს, საკმაოდ ნერვიულად წარიმართა. როდესაც ჯერ კიდევ შეხვედრის დაწყებამდე მასპინძელთა გულშემატკივრებმა დებოში მოაწყვეს, ცხადი გახდა, რომ მატჩი ექსცესების გარეშე ვერ ჩაივლიდა. ასეც მოხდა.

# სამში ორს თასი აკლია

მეორე ნახევრის დაწყება მთელი 15 წუთით დაგვიანდა, ხოლო როცა 58-ე წუთზე სვენ ვერმანტმა თამაშში ერთადერთი გოლი შეაგდო, „ანდერლეხტის“ რამდენიმე ათეული ფანი მოედანზეც შეიჭრა. წესრიგის დამცველებმა მალე დაამყარეს სიმშვიდე და თამაშიც განახლდა, მაგრამ „ანდერლეხტმა“ სტუმართა ორგანიზებულ დაცვას ვერაფერი მოუხერხა და მომავალმა ჩემპიონებმა ადვილად მიიყვანეს მატჩი სასურველ შედეგამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ „ბრიუგეს“ გაჩემპიონებაში ხელი ამ ტიტულის მეორე პრეტენდენტმა „გენკმაც“ შეუწყო, როცა მათ კვირას შინ 1:3 წააგეს შარშანდელ ჩემპიონ „ლიერსთან“. ამ დამარცხებით გუნდმა „ბრიუგესთან“ ჩამორჩენა 14 ქულამდე გაზარდა. ასეთი დეფიციტის აღმოფხვრა კი დარჩენილ 3 ტურში შეუძლებელია. ახლა „ბრიუგესა“ და „გენკს“ 17 მაისს ერთმანეთში პრინციპული შეხვედრა ელით ბელგიის თასის ფინალში.

— გული მიგრძნობდა, რომ მდევრები დღეს წაიფორხილებდნენ. მათმა მარცხმა უდიდესი ტვირთი მოგვხსნა მხრებიდან. კი, ყველა ამბობდა, რომ ჩემპიონები ჩვენ გავხდებოდით, მაგრამ „გენკი“ ფეხდაფეხ მოგვდევდა და ტურიდან ტურამდე გუნდში ნერვული ატმოსფერო სუფევდა — თქვა ნაკრებისა და „ბრიუგეს“ კაპიტანმა ფრანკი ვან დერ ელსტმა და დაამატა, რომ თუ მისი გუნდი თასის აღებასაც შეძლებს, მაშინ ეს ბრწყინვალედ ჩატარებული სეზონის გვირგვინი იქნება.

ბელგიის 24 გზის ჩემპიონი „ანდერლეხტი“ კი სასოწარკვეთილებაშია. გუნდს აუცილებლად სჭირდება უეფას თასის საგზურის მოპოვება. მართალია, 1984 წლის გახმაურებულ ნახევარფინალში „ნოტინგემ ფორესტთან“ მსაჯის მოსყიდვის გამო უეფამ „ანდერლეხტი“ ევროთასებს ერთი წლით ჩამოაშორა, მაგრამ აკრძალვა მხოლოდ იმ შემთხვევაში ამოქმედდება, თუ გუნდი ერთ-ერთ თასზე მონაწილეობის უფლებს მოიპოვებს.

„ანდერლეხტის“ მოთამაშეებმა ხელმძღვანელობას განუცხადეს, რომ საგზურის ვერმოპოვების შემთხვევაში გუნდს დატოვებენ, რადგან ორი წლით ევროპასთან განშორება არ სურთ.

**ირაკლი ხმელიძე**

## ესპანეთი

### მეორე დივიზიონი

39-ე ტური: რაიო — ლეგანესი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალავესი | 39 | 22 | 10 | 7 | 47:23 | 76 |
| ლას პალმასი | 39 | 19 | 15 | 5 | 70:41 | 72 |
| ესტრემადურა | 39 | 21 | 9 | 9 | 54:36 | 72 |
| ვილიარეალი | 39 | 16 | 16 | 7 | 45:36 | 64 |
| ბადახოსი | 39 | 14 | 15 | 10 | 45:35 | 57 |
| ლეიდა | 39 | 16 | 9 | 14 | 46:43 | 57 |
| სევილია | 39 | 16 | 9 | 14 | 43:42 | 57 |
| ეიბარი | 39 | 14 | 13 | 12 | 35:28 | 55 |
| რაიო | 39 | 15 | 9 | 15 | 45:44 | 54 |
| ატლეტიკო | 39 | 14 | 11 | 14 | 59:47 | 53 |
| ერკულესი | 39 | 14 | 11 | 14 | 46:43 | 53 |
| ტოლედო | 39 | 13 | 14 | 12 | 39:41 | 53 |
| ლეგანესი | 39 | 13 | 14 | 12 | 43:47 | 53 |
| ოსასუნა | 39 | 13 | 10 | 16 | 35:38 | 49 |
| ორენსე | 39 | 12 | 12 | 15 | 35:41 | 48 |
| ალბასეტე | 39 | 12 | 10 | 17 | 38:50 | 46 |
| ლოგრონიესი | 39 | 9 | 15 | 15 | 33:41 | 42 |
| ნუმანსია | 39 | 9 | 15 | 15 | 30:48 | 42 |
| ელჩე | 39 | 10 | 11 | 18 | 41:51 | 41 |
| ხაენი | 39 | 7 | 17 | 15 | 32:49 | 38 |
| სერესი | 39 | 8 | 13 | 18 | 22:42 | 37 |
| ლევანტე | 39 | 8 | 10 | 21 | 36:53 | 34 |

## თურქეთი

32-ე ტური. ფენერბაჰჩე — ბეშიქთაში 2:0; ქარაბუქი — ტრაბზონი 1:1; ქოჯაელი — გენჩლერბირლიგი 1:1; დარდანელი — ანკარაგიუჯიუ 3:1; ისთანბული — ალთაი 2:2; ანკარაგიუჯიუ — სამსუნი 0:1; ბურსა — გაზიანთეფი 1:2; ვანსფორი — შექერსფორი 0:0; გალათასარაი — ქაისერი 5:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 32 | 21 | 6 | 5 | 79:40 | 69 |
| ფენერბაჰჩე | 32 | 20 | 7 | 5 | 56:23 | 67 |
| ტრაბზონი | 32 | 17 | 9 | 6 | 63:40 | 60 |
| ისთანბული | 32 | 14 | 12 | 6 | 58:35 | 54 |
| ბურსა | 32 | 13 | 9 | 10 | 51:40 | 48 |
| ბეშიქთაში | 32 | 13 | 8 | 11 | 56:40 | 47 |
| სამსუნი | 32 | 13 | 7 | 12 | 40:38 | 46 |
| ქარაბუქი | 32 | 13 | 5 | 14 | 31:42 | 44 |
| ანკარაგიუჯიუ | 33 | 11 | 8 | 14 | 38:44 | 41 |
| ალთაი | 32 | 10 | 11 | 11 | 37:48 | 41 |
| დარდანელი | 32 | 10 | 10 | 12 | 37:37 | 40 |
| ქოჯაელი | 32 | 11 | 7 | 14 | 42:43 | 40 |
| გენჩლერბირ. | 32 | 9 | 11 | 12 | 40:42 | 38 |
| ანთალია | 31 | 9 | 10 | 12 | 46:49 | 37 |
| გაზიანთეფი | 32 | 8 | 10 | 14 | 36:42 | 34 |
| ქაისერი | 32 | 9 | 5 | 18 | 36:59 | 32 |
| შექერსფორი | 32 | 8 | 7 | 17 | 31:69 | 31 |
| ვანსფორი | 32 | 4 | 8 | 20 | 24:70 | 20 |

## ისრაელი

28-ე ტური ჰაპოელი (ბეერშევა) — ჰაპოელი (თელ ავივი) 1:4, ირონი (რიშონი) — ჰაპოელი (იერუსალიმი) 5:1, ჰაპოელი (ჰაიფა) — მაკაბი (ჰაიფა) 0:1, ბეითარი — ბნეი იეჰუდა 3:1, მაკაბი (თელ ავივი) — ჰაპოელი (ბეით შიანი) 4:1, ირონი (აშდოდი) — მაკაბი (ფეთაჰ თიქვა) 2:3, ჰაპოელი (ქფარ სავა) — ჰაპოელი (აშკელონი) 2:1, ჰაპოელი (ფეთაჰ თიქვა) — მაკაბი (ჰერცლია) 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეითარი | 28 | 18 | 9 | 1 | 67:30 | 63 |
| ჰ. თელ ავივი | 28 | 19 | 5 | 4 | 40:14 | 62 |
| ჰ. ჰაიფა | 28 | 15 | 9 | 4 | 51:24 | 54 |
| მ. ჰაიფა | 28 | 14 | 7 | 7 | 44:30 | 49 |
| ჰ. ფეთაჰ თიქვა | 28 | 11 | 6 | 11 | 37:38 | 39 |
| მ. ფეთაჰ თიქვა | 28 | 8 | 12 | 8 | 27:28 | 36 |
| ი. რიშონი | 28 | 10 | 6 | 12 | 38:45 | 36 |
| ჰ. ქფარ სავა | 28 | 9 | 8 | 11 | 34:36 | 35 |
| მ. თელ ავივი | 28 | 8 | 9 | 11 | 33:34 | 33 |
| ი. აშდოდი | 28 | 8 | 9 | 11 | 37:46 | 33 |
| ჰ. იერუსალიმი | 28 | 7 | 10 | 11 | 32:42 | 31 |
| ჰ. ბეით შიანი | 28 | 8 | 7 | 13 | 31:43 | 31 |
| მ. ჰერცლია | 28 | 7 | 9 | 12 | 33:39 | 30 |
| ბნეი იეჰუდა | 28 | 7 | 7 | 14 | 23:37 | 28 |
| ჰ. ბეერშევა | 28 | 6 | 9 | 13 | 37:57 | 27 |
| ჰ. აშკელონი | 28 | 5 | 6 | 17 | 24:45 | 21 |

## ნორვეგია

მე-3 ტური ბოდო გლიმტი — მოსი 2:1, ბრანი — მოლდე 2:2, ჰაუგესუნდი — რუსენბორგი 0:3, სოგნდალი — სტრომსგოდსეტი 2:2, სტაბეკი — კონგსვინგერი 2:1, ვიკინგი — ტრომსო 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 |
| მოლდე | 3 | 2 | 1 | 0 | 9:4 | 7 |
| ბოდო გლიმტი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 |
| სტაბეკი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| მოსი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ტრომსო | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| კონგსვინგერი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| ვიკინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 |
| ვოლერენგენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| რანი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| ტრომსგოდსეტი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:6 | 2 |
| სოგნდალი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |
| ჰაუგესუნდი | 3 | 0 | 0 | 3 | 4:9 | 0 |
| ლილსტრიომი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |

## სლოვენია

27-ე ტური ველენიე — პუბლიკუმი 2:1, გორიცა — ოლიმპია 3:0, კოროტანი — მურა 1:1, ბელტინჩი — მარიბორი 0:1, ვეჩე — პრიმორიე 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 27 | 17 | 2 | 8 | 41:23 | 53 |
| მურა | 27 | 15 | 7 | 5 | 51:32 | 52 |
| გორიცა | 27 | 14 | 4 | 9 | 49:27 | 46 |
| ოლიმპია | 27 | 12 | 9 | 6 | 46:36 | 45 |
| პრიმორიე | 27 | 13 | 4 | 10 | 48:38 | 43 |
| პუბლიკუმი | 27 | 10 | 6 | 11 | 45:43 | 36 |
| რუდარი | 27 | 9 | 8 | 10 | 30:27 | 35 |
| კოროტანი | 27 | 7 | 8 | 12 | 22:42 | 29 |
| ბელტინჩი | 27 | 6 | 5 | 16 | 31:58 | 23 |
| ვეჩე | 27 | 3 | 5 | 19 | 25:62 | 14 |

## ლატვია

მე-2 ტური. სკონტო — დაუგავა 2:3; მეტალურგსი — ვენტსპილსი 0:0; რეზეკნე — დინაბურგი 0:0; რანტო — ვალმიერა 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინაბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| დაუგავა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| მეტალურგსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| რანტო | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ვენტსპილსი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| სკონტო | 2 | 0 | 1 | 1 | 5:6 | 1 |
| რეზეკნე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ველმიერა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |

# იტალია

## პენალტის ისტორია

XXXI ტური

### სამპდორია 2:0 ფიორენტინა

სამპდორია: ფერონი (ამბროზიო 49), კასტელინი, მანინი, მიხაილოვიჩი, პეზარეზი, ვერგასოლა, ფრანჩესკეტი (სკარკილი 82), ბოღოსიანი, ლაილი, მონტელა, ვერონი (სუარეში 74)
ფიორენტინა: ტოლდო, ფალკონე (მორფეო 34), ფირიკანო, ტაროცი, ბეტარინი (ბიჯიკა 59), შვარცი, რუი კოშტა, სერენა, კანჩელსკისი (ამოროზო 59), ბატისტუტა, ოლივეირა
1:0, 2:0 მონტელა (38, 76)
გაფრთხილება: ფალკონე, მანინი, ფირიკანო, მიხაილოვიჩი, ტაროცი, ბიჯიკა

### იუვენტუსი 1:0 ინტერი

იუვენტუსი: პერუცი, ტორიჩელი, იულიანო, მონტერო (ბირინდელი 58), პესოტო, დი ლივიო, დეშამპი, დევიდსი (პეკია 84), ზიდანი, ინძაგი (კონტე 62), დელ პიერო
ინტერი: პალიუკა, ფრეზი, ვესტი, კოლონეზე, ძანეტი, მორიერო (სამორანო 56), ვინტერი (ზე ელიასი 67), სიმეონე, კოუ, ჯორკაეფი, რონალდო
1:0 დელ პიერო (21)
70-ე წუთზე დელ პიერომ ვერ გაიტანა პენალტი.
გაფრთხილება: პალიუკა, სამორანო, იულიანო, დევიდსი, სიმეონე, პეკია
გაძევება: ზე ელიასი (80)

### ბარი 0:0 ვიჩენცა

ბარი: მანჩინი, ნეჭროიზი, სალა, დე როსა, გარსია, დე ასკენტისი (ბრესანი 55), ინგესონი, ვოლპი (მარკოლინი 75), ძამბროტა, გუერერო, მასინგა (დოლი 82)
ვიჩენცა: ბრივიო, ბელოტი, მენდესი (კონტე 62), დიჩარა, სტოვინი, ვივიანი, დი კარლო, ბეგეტო, სკენარდი, ძაული (მასპერო 78), ლუიზო (დი ნაპოლი 82)
გაფრთხილება: ბელოტი

### ემპოლი 5:1 ლეჩე

ემპოლი: როკატი, ფუსკო, ბეტელა, ბიანკონი (ბიზოლი 79), ამეტრანო, პანი, ფიჩინი, ტონეტო, კ. ესპოზიტო (ფლორიანჩიჩი 76), კაპელინი (ლუჩენტი 63), ბონომი
ლეჩე: ლორიერი, საკიჩი, ბელუჩი, კიპრიენი, როსინი (ბარონკელი 57), კასალე, პიანგერელი, ჯანინი, კოცა (გოვედარიცა 57), ატელკინი (დე ფრანჩესკო 57), პალმიერი
1:0 ტონეტო (3), 1:1 კასალე (10), 2:1 კ. ესპოზიტო (19), 3:1 ამეტრანო (42), 4:1 კ. ესპოზიტო (60), 5:1 ლუჩენტი (74)
გაფრთხილება: ბელუჩი, ტონეტო, ბარონკელი

### ბრეშა 1:3 ბოლონია

ბრეშა: ჩერვონე, სავინო, ადანი, დიანა, ე. ფილიპინი, ა. ფილიპინი, საბეუ (იავორჩიჩი 74), დონი (ბაროლო 70), ბანინი, ნერი (პირლო 46), უბნერი
ბოლონია: სტერკელე, პარამატი, პაგანინი, მანგონე, ნერვო, მაგონი (კრისტალინი 54), მაროკი, ტარანტინო, რ. ბაჯო (შალიმოვი 74), კ. ანდერსონი, კოლივანოვი (ფონტოლანი 49)
0:1, 0:2 რ. ბაჯო (39, 62), 1:2 პირლო (79), 1:3 პაგანინი (90)
გაფრთხილება: ნერვო, ე. ფილიპინი, უბნერი, კრისტალინი, ადანი
გაძევება: ა. ფილიპინი (38)

### მილანი 0:0 ნაპოლი

მილანი: ს. როსი, ნილსენი (ციგე 82), დესაი, კოსტაკურტა, მალდინი, სავიჩევიჩი, ალბერტინი, დონადონი, ლეონარდო (ბობანი 59), ვეა, განცი (მანიერო 59)
ნაპოლი: ტალიალატელა, აიალა, მალაფრონტე, ბალდინი, ფაჩი, ტურინი (პანარელი 85), როსიტო, ლონგო, ალტომარე, კარლატო (სტოიაკი 52, კრასონი 91), ბელუჩი
გაფრთხილება: ტურინი

### ლაციო 1:2 პარმა

ლაციო: მარკეჯანი, შამოტი (გრანდონი 32), ნესტა, ნეგრო, ფავალი, ფუზერი, ვენტურინი, იუგოვიჩი, ნედვედი (რამბაუდი 48), მანჩინი, ბოკშიჩი (კაზირაგი 46)
პარმა: ბუფონი, ზე მარია, ტურამი, კანავარო, ბენარივო, კრიპა (ფიორე 68), სენსინი, დ. ბაჯო, სტრადა (ბლომკვისტი 46), კიეზა (ადაილტონი 61), სტანიჩი
1:0 ნედვედი (57), 1:1 სენსინი (71), 1:2 სტანიჩი (74)
გაფრთხილება: კანავარო

### უდინეზე 4:2 რომა

უდინეზე: ფრეზოლინი, ბერტოტო, კალორი, პიერინი, პელეგი, ჯანიკედა, აპია, ბონედა (იორგენსენი 73), პოჯი (ლოკატელი 78), ბირჰოფი, ამოროზო (ნავასი 81)
რომა: კონსელი, კაფუ, ძაგო (პეტრუცი 46), ალდაირი, კანდელა, ტომაზი, დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო, პაულო სერჯიო, დელვეკიო (პივოტო 52, ბალბო 81), ტოტი
1:0 ბირჰოფი (23), 1:1 ტოტი (45), 2:1 კალორი (59), 2:2 ტოტი (72), 3:2 პოჯი (73), 4:2 ბირჰოფი (89)
გაფრთხილება: ჯანიკედა, კაფუ, კანდელა, პივოტო, ტოტი, პოჯი
გაძევება: კაფუ (48)

### პიაჩენცა 3:0 ატალანტა

პიაჩენცა: სერენი, დელი კარი, ვერხოვოდი, მაცოლა, ტრამეცანი, პიოვანი (მურჯიტა 58), ვალოტი, შიენძა, სტროპა, რასტელი (ვალტოლინა 69), დიონიჯი (ბუზო 50)
ატალანტა: ფონტანა, ძენონი (ძანინი 28), რუსტიკო, კარერა, ბოსელი, მირკოვიჩი, პიაჩენტინი, სგრო, ბონაჩინა, როსინი (კაჩა 56), მაგალანეში (ლუკარელი 56)
1:0, 2:0 პიოვანი (2, 55), 3:0 მურჯიტა (64)
გაფრთხილება: ბონაჩინა, რუსტიკო, ბოსელი, როსინი
გაძევება: სგრო (60), კარერა (61)

ისინი მხოლოდ „იუვენტუსის“ სასარგებლოდ ცდებიან?

მსაჯი პიერო ჩეკარინი „იუვენტუსს“ მიემხრო — თვლიან ერთნი.

მსაჯმა პიერო ჩეკარინიმ უნებლიე შეცდომა დაუშვა — ამბობენ მეორენი.

მსაჯს პიერო ჩეკარინის შეცდომა არ დაუშვია — ასეთი აზრიც კი გამოითქვა.

ვინც არ იცის რაზეა საუბარი, მოკლედ ვუთხრათ: კვირას, იტალიის ჩემპიონატის ბოლოდან მეოთხე ტურში, „სკუდეტოს“ მთავარ მაძიებელთა შეხვედრაში, „იუვენტუსმა“ „ინტერს“ 1:0 მოუგო. გოლი ალესანდრო დელ პიერომ პირველ ტაიმში გაიტანა. მეორეში კი მოხდა ის, რამაც მთელი იტალია აალაპარაკა. რონალდომ „იუვეს“ საჯარიმოში ბურთი გაიგდო, მაგრამ მცველს, მარკ იულიანოს შეასკდა და დაეცა. ჩეკარინიმ პენალტი არ დანიშნა, მასპინძლებმა კი კონტრშეტევა წამოიწყეს, რაც 10 წამის შემდეგ საპირისპირო კართან თერთმეტმეტრიანით დასრულდა — ტარიბო ვესტმა დელ პიერო წააქცია. „ინტერის“ მწვრთნელი ლუიჯი სიმონი გაცეცხლდა და იგი მსაჯმა სკამიდან გააძევა. ნერვები ვერ მოთოკა ასისტენტმა მწვრთნელმა სიმონი პინიმაც. მასაც წითელი ბარათი აუფრიალეს. ცოტა ხანში მილანელთა ბრაზილიელი ნახევარმცველი ზე ელიასი „იუვენტუსის“ ფრანგ ნახევარმცველ დიდიე დეშამპთან ორთაბრძოლისას წესის დარღვევის გამო გააძევეს მოედნიდან და კიდევ, „იუვენტუსის“ კარში გატანილი ერთი გოლი არ ჩათვალეს, რადგან იმ ეპიზოდში მეკარეზე თავდასხმა აღინიშნა.

პენალტი, რომელიც დელ პიეროს წაქცევისთვის დაინიშნა „ინტერის“ მეკარემ ჯანლუკა პალიუკამ თავად დელ პიეროს არ გაატანინა.

გავკადნიერდებით და საკუთარ აზრს მოგახსენებთ: „იუვენტუსის“ კარში პენალტი უნდა დანიშნულიყო; რომ დანიშნულიყო, აღარ იქნებოდა ის ეპიზოდი 10 წამის შემდეგ რომ წარმოიქმნა, მაგრამ თუ მას კონტექსტიდან მოწყვეტით განვიხილავთ, ვესტმა დელ პიერო წააქცია, რაც იმას ნიშნავს, რომ „ინტერის“ კარში პენალტის დანიშვნა შეცდომა არ გახლდათ; სიმონი და მისი ასისტენტი პინი გასაძევებელნი იყვნენ; ზე ელიასმა დეშამპს თავში იდაყვი ჩაარტყა და ასეთ დროს (თან მატჩი უმართავი ხდებოდა) წითელი ბარათის აღმართვა ულოგიკო არ გახლავთ; „იუვეს“ კარში გატანილი გოლი არ უნდა ჩათვლილიყო, რადგან ანჯელო პერუციზე იმ ეპიზოდში მართლა თავდასხმა იყო.

ამრიგად, მსაჯმა დაუშვა ერთი პრინციპული შეცდომა, რონალდოს წაქცევისთვის არ დანიშნა პენალტი, შემდეგ კი თავისივე შეცდომის ნაყოფთან მოუხდა ბრძოლა.

რაც შეეხება იმას, განზრახ მიემხრო თუ არა ჩეკარინი „იუვენტუსს“, ვგონებთ რომ არა, რადგან იტალია ბანანის რესპუბლიკა არ გახლავთ. იქ თუ რაიმე შავი საქმე იხლართება, იხლართება ფარულად და არა ქვეყნის დასანახად. რაღა იმ მატჩში მოისყიდდა მსაჯს ტურინელთა პრეზიდენტი, ანიელი რომელსაც მთელს პლანეტაზე უცქერდნენ? განა სკანდალში თავის გაყოფა მისთვის სასარგებლოა? განა არ უჯობდა „ინტერის“ წინააღმდეგ მსაჯები წინა ექვს შეხვედრაში მოესყიდა, მილანის გუნდმა ზედიზედ რომ მოიგო? ისე მაინც ექნა, რომ იმ არბიტრებს „ინტერის“ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელისთვის ყვითელი ბარათები ისეთი რიგით ეჩვენებინათ, რომ მათ „იუვენტუსთან“ შეხვედრაში მოსწეოდათ დისკვალიფიკაცია...

ვარიანტები სხვაც ბევრია. ტურინის „დელე ალპიზე“ კი პაოლო ჩეკარინიმ უხეში, მთელი მსოფლიოსთვის თვალშისაცემი შეცდომა დაუშვა, თუმცა...

„მე არ ვმოძრაობდი, რონალდოს შეჩერებაც არ მიცდია, მასთან კონტაქტი სულაც არ მქონდა ჩაფიქრებული“ — თქვა მატჩის შემდეგ იულიანომ.

„იმ ეპიზოდის შესახებ ორი აზრი ვერ იარსებებს. წესის დარღვევა, ყველამ დაინახა მსაჯის გარდა. მან რამდენიმე ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომ ცხადი გახდა, „იუვენტუსს“ ეხმარებოდა. რაც მოხდა, სამარცხვინოა. ამ სიტყვებისთვის რომც დამსაჯონ, მაინც ვიტყვი, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება. რაც ხდება ყველასთვის ნათელია“ — აღშფოთებას ვერ მალავდა რონალდო.

„ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი: „ცხოვრებაში პირველად წამოვედი სტადიონიდან მაშინ, შეხვედრა ჯერ დამთავრებული რომ არ იყო. იქ ჯდომა და თავის გასულელება ვეღარ ავიტანე. მსაჯებს „იუვენტუსის“ წაგებისა ეშინიათ და ცდილობენ არაფერი აწყენინონ. ეს წესად დამკვიდრდა, გამონაკლისი კი გეგონოთ.

„ინტერის“ მწვრთნელი ლუიჯი სიმონი: „უთუოდ შევცდი, ცუდად მოვიქეცი და საძაგელი მაგალითი ვაჩვენე სხვებს. რაც 10 წელიწადში ერთხელ მომდის ხოლმე. ჩეკარინი კი მსოფლიოში ერთადერთი ადამიანი გამოდგა, ვინც წესის დარღვევა ვერ შენიშნა. სამწუხაროა, ამ მატჩმა რომ მთელი წლის, ცხოვრებისი ნაჯაფი ჩაგვიყარა წყალში“

„იუვენტუსის“ მწვრთნელი მარჩელო ლიპი: „ოდესმე მომხდარა, რომ „იუვენტუსის“ მოგებას დისკუსიით არ შეხვედროდნენ? სადაც კი ჩავდივართ ხალხი ყაჩაღებს გვიწოდებს და მსაჯების მოსყიდვას გვწამებს, მაგრამ ეს ჯერ ერთი მტკნარი სიცრუეა, მეორეც, ბრძოლისუნარიანობას ჭვმატებს. „ინტერთან“ მოგებით დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ, თუმცა იმის თქმა, თითქოს ჩემპიონის ტიტულს უკვე ხელით ვწვდებოდეთ, არ მინდა. ვიცი „ინტერი“ არ დანებდება და უწინდელთან შედარებით გაცილებით მეტი ჟინით იბრძოლებს. რაც შეეხება ჩემს გუნდს, „იუვენტუსს“, იგი დიდებულად გაისარჯა, გამოავლინა ჭკუა, ტაქტიკური ცოდნა, თავდადება და თვითკონტროლი. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ჩვენ დიდი მატჩების ჩატარება ძალგვიძს“.

ალესანდრო დელ პიერო: „მსაჯებზე რასაც ამბობენ უბრალოდ ტყუილია. ჩვენი გამარჯვებები დიდი მუშაობის შედეგია, ხოლო ვინ რას ჭორაობს, ნაკლებად გვაინტერესებს“.

ზინედინ ზიდანი („იუვენტუსის“ ფრანგი ნახევარმცველი): „ჩვენ პატიოსნად გავიმარჯვეთ. ახლა იმაზე ერთი ამბის ატეხვა, რომ ასეთი და ასეთი ეპიზოდი იყო, სამარცხვინოა“.

ლუჩანო მოჯი („იუვენტუსის“ გენერალური დირექტორი): „რონალდოს უჯობს დელ პიეროსგან ისწავლოს — მას გოლები გააქვს და ჩუმადაა“.

გსმენიათ სტეფანო როდომონტის შესახებ? ეს ის კაცია წინა ტურში „ემპოლი“ — „იუვენტუსი“ რომ იმსაჯა და „იუვეს“ კარში გოლი არ ჩათვალა — ანჯელო პერუციმ ბურთი ხაზს გარეთ დაიჭირაო. კვირის სკანდალური მატჩის შემდეგ გამოჩხრიკეს, რომ მას 1994 წელს, ერთ-ერთ შეხვედრაში შეცდომა დაუშვია და „იუვენტუსის“ კარში გოლი ჩაუთვლია. მას მერე როდომონტიმ ტურინელთა გუნდის მონაწილეობით სულ სამი მატჩი იმსაჯა.

როდომონტის 1994 წლის შემდეგ „იუვენტუსისა“ ეშინია და ალბათ ამიტომაც მოერიდა „ემპოლისთან“ შეხვედრაში მის კარში გოლის ჩათვლას — ამბობდა კომენტატორი ჯორჯო ტოსატი.

რა ხდება? ახლა ალაპარაკდნენ, რომ სხვა ქვეყანათაგან განსხვავებით იტალიაში, სერია A-ში მსაჯები საგანგებოდ არიან გადარჩეულნი და ეს არასწორია.

ახლა მოიგონეს, რომ:

ნოემბერი, 1997: „იუვენტუს“ — „უდინეზეს“ შეხვედრაში მსაჯმა გრაციანო ჩეზარიმ ვერ შენიშნა, რომ ოლივერ ბირჰოფის დარტყმის შემდეგ ჩირო ფერარამ ბურთი ხაზს შიგნიდან უკუაგდო.

იანვარი, 1998: „იუვენტუს“ — „რომას“ შეხვედრაში დიდიე დეშამპმა კარბონე გაუტიერის საჯარიმოში ფეხი გამოსდო, არბიტრმა კი პენალტი არ დანიშნა.

აპრილი, 1998: „ლაციო“ — „იუვენტუსის“ შეხვედრაში, წამატებულ წუთებში, მსაჯმა პიერლუიჯი კოლინამ მარკ იულიანოს ხელით თამაში შემთხვევითობად მიიჩნია და პენალტი არ დანიშნა.

აპრილი, 1998: „ემპოლი“ — „იუვენტუსის“ შეხვედრაში როდომონტიმ გოლი არ ჩათვალა.

აპრილი, 1998: „იუვენტუს“ — „ინტერის“ შეხვედრაში ჩეკარინიმ რონალდოს წაქცევისთვის პენალტი არ დანიშნა.

პაოლო ჩეკარინი: „ჩემთვის ეს მატჩი ალალი იყო. შეცდომები? ჩვენ ადამიანები ვართ და შეცდომა ყველას მოგვდის“.

**პაპუნა ძიძია**

დარჩა
FRANCE 98
42 დღე

## ფუტიქსის დროშით

## რატომ სცემენ დენილსონს?

ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველმა დენილსონმა განაცხადა, რომ გასულ კვირას პაულისტას ჩემპიონატის ნახევარფინალურ მატჩში „პალმეირასის“ ფეხბურთელები მეტად უხეშად ექცეოდნენ და მის დაშინებას ცდილობდნენ. „ცხადია, ესოდენ ძვირადღირებული მოთამაშისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ „სან პაულუც“ აღაშფოთა. როგორც აღმოჩნდა, ბრაზილიის თასის გათამაშების მატჩისას „გრემიოს“ მოთამაშეებმა ნამდვილი ნადირობა გააჩაღეს დენილსონზე. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელმა ზღაპრულთანხიანი კონტრაქტი გააფორმა „რეალ ბეტისთან“, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ შეუერთდება. „მათ ჩემი დაშინება სურთ, მაგრამ მე ისე ვითამაშებ, როგორც შემიძლია და არაფერს დავთმობ“ — თქვა განაწყენებულმა დენილსონმა — ასე იმიტომ მექცევიან, რომ ძლიერი ვარ. ეტყობა ეს მავანთ ძალიან არ მოსწონთ და ამიტომაც ცდილობენ, მწყობრიდან გამომიყვანონ“.

თუმცა, როგორც „პალმეირასის“ ფეხბურთელებმა განაცხადეს, დენილსონი თავად ყოფილა დამნაშავე, რადგან თამაშის დროს მეტოქეების დამცირება მოუნდომებია.

„არასდროს მიცდია, ვინმე დამემცირებინა. თავად ღარიბულ უბანში გავიზარდე და ვიცი, რა გრძნობაა ეს“ — პასუხი არ დააგვიანა დენილსონმა.

„სან პაულუს“ კაპიტნის, მარსელო სანტოსის თქმით, იგი თამაშის დაწყებამდე ყოველთვის სთხოვს მსაჯებს, მკაცრად დასაჯონ დენილსონთან უხეშად მოთამაშე ფეხბურთელები, მაგრამ მას არავინ უგდებს ყურს. ბრაზილიელთა მთავარი მწვრთნელი მარიო ზაგალო კი მაღალ შეფასებას აძლევს დენილსონს და თვლის, რომ იგი ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იქნება ჩემპიონატზე.

### ნიგერია

ნაკრებს შვეიცარიაში გადაუწყვეტია ორკვირიანი შეკრების გამართვა. „მართალია, მწვრთნელ ბორა მილუტინოვიჩს ჯერ არ შეურჩევია, რომელ ქალაქში დავბინავდებით, მაგრამ შემიძლია დანამდვილებით გითხრათ, რომ იქ 14 დღე დავყოფთ“ — თქვა ნაკრების პრეს-ატაშემ.

ამ თვის დასაწყისში მილუტინოვიჩმა განაცხადა, რომ ნიგერიელები 10 მაისიდან ვარაუდობდნენ შეკრების დაწყებას, მაგრამ როგორც პრეს-ატაშემ განმარტა, ეს თარიღი ოდნავ გადაიწევს, ვინაიდან გუნდი ამხანაგური მატჩის გამართვას გეგმავს ლაგოსში. მეტოქის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. ჩემპიონატამდე დარჩენილ ორ ამხანაგურს ნიგერიელები იუგოსლავიასა და ჰოლანდიაში ითამაშებენ იქაურ ნაკრებებთან. ეს შესაბამისად 30 მაისსა და 5 ივნისს მოხდება. შეგახსენებთ, რომ ნიგერიელებმა წინა ოთხშაბათს 0:1 წააგეს გერმანელებთან.

### ბულგარეთი

ქვეყნის მთავარი მწვრთნელი ჰრისტო ბონევი მაისის ბოლოს 10-დღიან წინასაჩემპიონატო შეკრებას გეგმავს გერმანიაში. 1 ივნისს ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს „კაიზერსლაუტერნთან“. ამის შემდეგ ბულგარელები სამშობლოში დაბრუნდებიან და მთავარ რეპეტიციას 5 ივნისს, სოფიაში ალჟირელთა წინააღმდეგ გაივლიან. გუნდი საფრანგეთში 6 ივნისს გაემგზავრება.


# სარბიელი

## სპორტული ლატარია “CROCO”

| | | | |
|---|---|---|---|
| **გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. 29 აპრილი** | | | |
| არმინია — კაიზერსლაუტერნი | 4,4 | 3,4 | 1,6 |
| შალკე — კიოლნი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| ლევერკუზენი — დორტმუნდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ბოხუმი — ჰერტა | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| **გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. 29 აპრილი** | | | |
| კარლ ცაისი — უნტერჰახინგი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| **ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. 29 აპრილი** | | | |
| არსენალი — დერბი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| ჩელსი — ბლექბერნი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ქოვენთრი — უიმბლდონი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ლესტერი — ნიუკასლი | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| **ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. 28 აპრილი** | | | |
| იფსვიჩი — სანდერლენდი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ტრანმერი — შეფილდ იუნაიტედი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 29 აპრილი | | | |
| მიდლსბრო — ვულვერჰემპტონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| **ავსტრიის ჩემპიონატი. XXXII ტური. 29 აპრილი** | | | |
| ადმირა — გრაცერი | 3,6 | 3,2 | 1,8 |
| აუსტრია — ლინცერი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| რიდი — ლუსტენაუ | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| ზალცბურგი — რაპიდი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| შტურმი — ტიროლი | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| **ბელგიის ჩემპიონატი. XXXII ტური. 28 აპრილი** | | | |
| ჰარელბეკი — ეკერენი | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| 29 აპრილი | | | |
| ლიერსი — სტანდარდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| მოლენბეკი — მუხკრონი | 2,2 | 3,1 | 2,8 |
| ანტვერპენი — შარლერუა | 2,4 | 3,1 | 2,4 |
| ბევერენი — ლოკერენი | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| ვესტერლო — ანდერლეხტი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ბრიუგე — აალსტი | 1,25 | 4,7 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| სტ. ტრუიდენი — ლომელი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| გენკი — გენტი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 0:1 | 2,3 | 3,2 | 2,3 |
| **შვეიცარიის ჩემპიონატი. X ტური. 28 აპრილი** | | | |
| გრასჰოპერი — ლოზანა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| 29 აპრილი | | | |
| ლუცერნი — სიონი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| სერვეტი — არაუ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| სენტ გალენი — ციურიხი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| **იტალიის თასი. ფინალი. II მატჩი. 29 აპრილი** | | | |
| ლაციო — მილანი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| **ესპანეთის თასი. ფინალი. 29 აპრილი** | | | |
| ბარსელონა — მალიორკა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| **რუსეთის თასი. 1/2 ფინალი. 28 აპრილი** | | | |
| როტორი — სპარტაკი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 29 აპრილი | | | |
| ლოკომოტივი — ალანია | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| **ამხანაგური მატჩი. 29 აპრილი** | | | |
| ბრაზილია — არგენტინა | 1,5 | 3,3 | 6,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# დღეს ფინალის პირველი მატჩია

# ვითა — აზოტი

**საქართველოს 1993, 1994, 1995, 1996, 1997 წლების ჩემპიონი**

საქართველოს ხუთგზის ჩემპიონს უკანასკნელ წლებში ასეთი სერიოზული კონკურენტი ჩვენს პირველობაზე არ ჰყოლია. შარშან „ვითა" ერთობ ადვილად გახდა საქართველოს ჩემპიონი, როცა პირველობაზეც და პლეი ოფშიც უკლებლივ ყველა შეხვედრა მოიგო. მაგრამ შარშანდელი შემადგენლობიდან „ვითაში" ამ სეზონის დასაწყისში ძალიან ცოტანი დარჩნენ. წავიდნენ გუნდის უფროსი მწვრთნელი ბესიკ ლიპარტელიანი, წამყვანი მოთამაშეები: ვახტანგ ნაცვლიშვილი, დუდუ დადიანი, ლევან ქარაბაკი, რეზო ჩხეიძე, კახაბერ შენგელია, გია სანაძე, დავით თორთლაძე, დავით უსტიაშვილი... გუნდის ახალ მწვრთნელს, ზურაბ ტომარაძეს ფაქტობრივად ახალი გუნდის შექმნა მოუწია. სეზონის დასაწყისში გუნდის თავკაცი ამბობდა, რომ „ვითას" გარდამავალი პერიოდი აქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გუნდი ჩემპიონის ტიტულს ადვილად დათმობს. მართლაც „ვითამ" სეზონი არც ისე დამაჯერებლად დაიწყო. თამაშებსაც ჩვეული უპირატესობით ვერ ატარებდა და სხვა გუნდებისგანაც არ გამოირჩეოდა. საბოლოოდ „ვითამ" რეგულარული ჩემპიონატი მესამე ადგილზე დაასრულა. წლევანდელ სეზონში ხუთი შეხვედრა წააგო, მაგრამ პლეი ოფები შესანიშნავად ჩაატარა და დაუმარცხებლად გავიდა ფინალში. უფრო გამოცდილ მოთამაშეებს — მამუკა აბრამიძეს, ამროსი ორმოცაძეს, ნუგზარ კოკოლიშვილს მხარი აუბეს ახალგაზრდებმაც: ლაშა ლოსაბერიძემ, გიორგი გაგნიძემ, ზვიად მიქაძემ. გუნდში დაბრუნდა მამუკა ტურაშვილი. „ვითას" აღარ ჰყავს გამოკვეთილი ლიდერები, მაგრამ ხიფათს უკვე ყველა ვითელისგან უნდა ელოდე.

**საქართველოს 1996, 1997 წლების ბრინჯაოს მედალოსანი**

რუსთაველთა გუნდი რეგულარულად მონაწილეობდა საქართველოს ჩემპიონატებში, მაგრამ საპრიზო ადგილზე მხოლოდ 1996 წელს გავიდა. მაშინ პაატა გურასპაულის, მიხეილ ბერუაშვილის, ილია კეჭაყმაძის და სხვათა მეცადინეობით გუნდმა პირველად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები. შარშან რუსთაველთა გუნდში დაბრუნდა საბერძნეთში მოთამაშე ირაკლი ჯაფარიძე და სწორედ მისმა ჩინებულმა თამაშმა განაპირობა რუსთაველთა წარმატება მესამე ადგილისთვის სდასუ-სთან მატჩების სერიაში. წლეულს რუსთაველები კიდევ უფრო წინ წავიდნენ. ოთარ ხმელიძემ ჩინებული გუნდი შეკრა. შეემატათ კიდევ ერთი ყოფილი „ბერძენი" რამაზ გოგობერიშვილი, რომელმაც გუნდის პოტენციალი ერთიორად გაზარდა. გოგობერიშვილი სწორედ ის მოთამაშე აღმოჩნდა, რომელიც ასე სჭირდებოდა გუნდს. მკვეთრად აიმაღლეს თამაშის კლასი ზაზა გაბისონიამ, ლევან ნიკლაურმა და პერსპექტიულმა ვლადიმერ ბოისამ. ირაკლი ჯაფარიძე კი მართლაც ჩინებულ სეზონს ატარებს. თუ ამათ დავამატებთ მიხეილ ბერუაშვილს და ბადრი კიკვიძეს, ნათლად გამოჩნდება, რა სიძლიერის გუნდთან ექნება საქმე ჩემპიონს. რუსთაველებმა წლევანდელი ჩემპიონატი შესანიშნავად გაიარეს და პირველობაზე და პლეი ოფზე ჩატარებული 3 მატჩიდან მხოლოდ 2-ჯერ დამარცხდნენ (ორჯერვე სდასუ-სთან). მთელი სეზონის განმავლობაში „აზოტი" მეტოქეებზე ძლიერი იყო და მოთამაშენი ყოველნაირად ეცდებიან, თავიანთი ქალაქის 5)-ე წლისთავს ჩემპიონებად შეხვდნენ.

**წლევანდელი მატჩები: „აზოტი" — „ვითა" 100:96, 93:80**



რუსთაველმა ბოისამ ნახევარფინალური მატჩები ჩინებულად ჩაატარა

წლეულს რუსთაველებმა ორივე მატჩი მოუგეს ჩემპიონს და მართალია, პირველი შეხვედრის ანგარიში დაძაბულობაზე მიგვანიშნებს, რუსთაველთა უპირატესობა იქაც აშკარა იყო. გუნდი მეორე ტაიმის შუაწელში 20 ქულას იგებდა და მხოლოდ ბოლო წუთების თავგამოდებული თამაშით შეძლო „ვითამ" ანგარიში ოთხ ქულამდე შეემცირებინა. თუმცა ფინალების წინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი რამ ახლა ნაკლებმოსალოდნელია. ჩემპიონმა მნიშვნელოვნად მოუმატა თამაშს და რუსთაველებს თუ ტიტულის მოპოვება სურთ, განსაკუთრებული ძალების დახარჯვა მოუწევთ.

მოკლედ, გულშემატკივართა გასახარად, ორივე გუნდის მოთამაშეები და მწვრთნელები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალიან დაძაბული ფინალური სერია მოგველის.

დღეს ეს გუნდები 18 საათზე შეხვდებიან ერთმანეთს. მანამდე კი, 16 საათზე მესამე ადგილისთვის მატჩების სერიას „დინამო" და სდასუ დაიწყებენ.

მეორე მატჩები მეორე დღეს, 29 თებერვალს, იმავე დროს ჩატარდება.

**გია აგლაძე**


**„სარბიელი" სათანამშრომლოდ იწვევს**

ჟურნალისტებს, გამოცდილთ და დამწყებთ, რომელთაც სურთ წერონ ფეხბურთზე, კალათბურთზე, რაგბიზე, ჭიდაობასა და ჭადრაკზე;

მთარგმნელებს, გამოცდილთ და დამწყებთ, ინგლისურიდან გადმოსაქართულებლად.

მსურველები შემოგვეხმიანონ ხუთშაბათს 12-დან 15 საათამდე ან კვირას 14-დან 16 საათამდე

ტელ: 39 48 29 ან 39 40 08;

მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, მეორე კორპუსი, მე-4 სართული


**პლეი ოფი. პირველი წრე**

# მგელი უნდა იყო!

## დასავლეთი

24 აპრილი

**სიეტლი 108:83 მინესოტა**

სიეტლი: პეიტონი (19), ჰოკინსი (12), შრემპფი (17), ბეიკერი (25), კერსი (11), ელისი (9), პერკინსი (6), ვინგეიტი (6), ენტონი (3), მაკმილანი, მაკლვეინი, უილიამსი

მინესოტა: მარბერი (13), პილერი (6), მიტჩელი (9), გარნეტი (18), ჰამონდი (12), პორტერი (13), ჯორდანი (5), რობერტსი (1), უილიამსი (4), ვითი (2), კარლი

სერიის ანგარიში 1:0

**ლეიკერსი 104:102 პორტლენდი**

ლეიკერსი: ფიშერი (4), ჯონსი (14), ფოქსი (9), ჰორი (4), ონილი (30), ბრაიანტი (15), ვან ექსელი (14), კემპბელი (14), ბლაუნტი, ბერი

პორტლენდი: სტუდემაიერი (12), რაიდერი (25), უოლესი (18), გრანტი (7), საბონისი (15), ოგმანი (2), უილიამსი (14), კატო (2), ლესტერი (7)

სერიის ანგარიში 1:0

25 აპრილი

**იუტა 105:90 ჰიუსტონი**

იუტა: სტოქტონი (17), ჰორნაჩეკი (14), კიფი (3), მელოუნი (29), ფოსტერი (7), რასელი (10), ეისლი (7), ოსტერტაგი (3), კარი, ანდერსონი (10), ვონი (5)

ჰიუსტონი: მელოუნი (4), დრექსლერი (14), ბალარდი (5), უილისი (10), ოლაჯუონი (16), პრაისი (5), ელი (6), ჯონსონი (10), ბარკლი (8), ჰარინგტონი (6), როუდზი (4), ჯონსი (2)

სერიის ანგარიში 1:1

**ფინიქსი 108:101 სან ანტონიო**

ფინიქსი: კიდი (12), ჩეპმენი (16), მაკლაუდი (22), მაკდაიესი (21), რობინსონი (15), ჯონსონი (4), ნეში (4), ბრაიანტი (14), სკოტი

სან ანტონიო: ჯონსონი (20), ჯექსონი (13), დანკანი (16), რობინსონი (23), პერდიუ (10), დელ ნეგრო (12), პერსონი (7), გირი

სერიის ანგარიში 1:1

26 აპრილი

**სიეტლი 93:98 მინესოტა**

სიეტლი: პეიტონი (32), ჰოკინსი (10), შრემპფი (15), ბეიკერი (8), კერსი (4), ენტონი (13), მაკმილანი (7), ელისი (3), პერკინსი (1)

მინესოტა: მარბერი (25), პილერი (8), პორტერი (21), მიტჩელი (18), გარნეტი (15), ჰამონდსი (11), უილიამსი

კვირას მინესოტელთაგან მხოლოდ 7 კაცი გამოვიდა მოედანზე, მაგრამ ამ შვიდმა „მგელმა" მცირე სენსაცია მოახდინა მრისხანე სიეტლის ძლევით და კლუბის ცხრაწლიან ისტორიაში პირველი პლეიოფური გამარჯვებაც იზეიმა. „ჩვენ მართლა მგლებივით ვიბრძოდით თითოეული ბურთისთვის, თითოეული ქულისთვის და მოგების ღირსნიც ვიყავით" — თქვა სტუმართა გახარებულმა თავკაცმა ფილიპ სანდერსმა. მართლაც: მინესოტელებმა ამ თამაშში ყველაფერი გაილეს და სტუმრად ანგარიში გაათანაბრეს. აწი ჯერი მინესოტაში გასამართ ორ შეხვედრაზეა.

სერიის ანგარიში 1:1

**ლეიკერსი 108:99 პორტლენდი**

ლეიკერსი: ფიშერი (10), ჯონსი (21), ჰორი (15), ფოქსი (24), ონილი (19), ბრაიანტი (4), ვან ექსელი (5), კემპბელი (10), რუქსი, ბერი, ბენეტი

პორტლენდი: სტუდემაიერი (17), რაიდერი (24), უოლესი (12), ბ. გრანტი (15), საბონისი (6), უილიამსი (15), კატო (10), ლესტერი, ოგმანი, გ. გრანტი

წინა შეხვედრაში აიზია რაიდერის უხეიროდ მეურვეობის გამო გაკრიტიკებულმა ლეიკერსელმა ედი ჯონსონმა მეორეში თავი გამოიდო და საპლეიოფო კარიერაში ყველაზე მეტი, 21 ქულა მიითვალა. მისი და რიკ ფოქსის მოწადინებით მასპინძლები პირველივე წუთებიდან დაწინაურდნენ და შემდგომაც სულ ლიდერობდნენ. ზედიზედ მეორედ წაგებამ კი პორტლენდი თითქმის წასაგებად გადადო, არადა, ეს გუნდი NBA-ს ისტორიაში ყველაზე მეტჯერ, ზედიზედ 16-ჯერ თამაშობს პლეი ოფში.



ლეიკერსი — პორტლენდი. ძველი და ახალი: საბონისი და ონილი

სერიის ანგარიში 2:0

## აღმოსავლეთი

24 აპრილი

**ჩიკაგო 96:93 ნიუ ჯერსი**

ჩიკაგო: ჰარპერი (13), ჯორდანი (39), პიპენი (24), კუკოჩი (13), როდმანი, კერი (2), სიმპკინსი (5), უენინგტონი, ბარელი, ბრაუნი

ნიუ ჯერსი: კასელი (4), კიტლზი (10), გილი (14), ვან ჰორნი (10), გატლინგი (24), უილიამსი (8), დუგლასი (16), ჰარისი (3), საიკლი (4), ევანსი

სერიის ანგარიში 1:0

**მაიამი 94:79 ნიუ იორკი**

მაიამი: ჰარდევეი (34), ლენარდი (10), მარლი (8), ბრაუნი (12), მურნინგი (11), მერდოკი (16), მაშბურნი (3), ესკინსი, სტრიკლენდი

ნიუ იორკი: უორდი (9), ჰიუსტონი (17), მილზი (4), ჯონსონი (21), ოკლი (10), სტარქსი (14), ჩილდსი (2), დადლი (2), ბოვი, უილიამსი

სერიის ანგარიში 1:0

25 აპრილი

**შარლოტი 92:85 ატლანტა**

შარლოტი: უესლი (18), ფილზი (7), რაისი (24), მეისონი (25), დივაცი (14), კარი (2), არმსტრონგი (2), რიდი, როიალი, გეიგერი, უილიამსი, ბექი

ატლანტა: ბლეილოკი (7), სმიტი (22), კორბინი (6), ჰენდერსონი (22), მუტომბო (4), ლეიტნერი (8), რეკასნერი (12), ბრაუნი (4), მილერი

სერიის ანგარიში 2:0

**ინდიანა 92:86 კლივლენდი**

ინდიანა: ჯექსონი (12), მილერი (18), მულინი (4), დ. დევისი (17), სმიტსი (14), ა. დევისი (10), როუზი (17), მაკკიი, ბესტი

კლივლენდი: ნაითი (4), პერსონი (10), ჰენდერსონი (8), კემპი (27), ილგაუსკასი (25), პოტაპენკო (8), ანდერსონი (4), ფერი

სერიის ანგარიში 2:0

26 აპრილი

**ჩიკაგო 96:91 ნიუ ჯერსი**

ჩიკაგო: ჰარპერი (3), ჯორდანი (32), პიპენი (17), კუკოჩი (19), როდმანი (3), კერი (10), ბარელი (4), უენინგტონი (7), სიმპკინსი (1), ბაჩლერი

ნიუ ჯერსი: დუგლასი (20), კიტლზი (23), გილი (12), ვან ჰორნი (10), უილიამსი (10), საიკლი (10), ჰარისი (2), გატლინგი (4), კასელი, ევანსი

წინა შეხვედრისგან განსხვავებით ჩიკაგოელებს ნაკლები ჯაფა დაადგათ. ხარებმა თავიდანვე იძალეს და დიდ შესვენებაზე 16-ქულიანი უპირატესობით წავიდნენ. ამით ჩემპიონებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და ნიუ ჯერსის მიახლოების საშუალება მისცეს. მატჩის დამთავრებამდე 20 წამით ადრე სტუმართა ძირითადი გამთამაშებლის სემ კასელის შემცვლელმა შერმან დუგლასმა სამქულიანი ჩააგდო და ანგარიში 91:94 გახადა, ერთი სამქულიანიც და ნიუ ჯერსი მეორედ შეეცდებოდა ხარების ოვერტაიმში ძლევას, მაგრამ იღბალმა ამჯერადაც უმტყუნა მათ. ოთხი წამით ადრე პიპენმა ორი საჯარიმო ჩააგდო და ყველაფერი მოათავა.

სერიის ანგარიში 2:0



ჩიკაგო — ნიუ ჯერსი. ტონი კუკოჩი კენდალ გილისთვის ბურთის წართმევას ლამობს, მაგრამ ვინ დაანებებს...

**მაიამი 86:96 ნიუ იორკი**

მაიამი: ჰარდევეი (15), ლენარდი (25), მარლი (1), ბრაუნი (5), მურნინგი (30), მერდოკი (5), ესკინსი (3), მაშბურნი (2)

ნიუ იორკი: უორდი (6), ჰიუსტონი (24), მილზი (2), ჯონსონი (22), ოკლი (6), სტარქსი (25), ჩილდსი (7), კამინგსი (4), ბოვი

პირველივე მატჩში სირცხვილნაჭამმა ნიუ იორკმა ძალა მოიკრიბა და პირველ მეოთხედში 14-ქულიანი ჩამორჩენის მიუხედავად მაიამის ალიყური აჭამა. მაიამელი ტიმ ჰარდევეი პირველი თამაშის დარად რომ გარჯილიყო, იქნებ მის გუნდს შველებოდა კიდეც, მით უმეტეს, რომ წინა შეხვედრისგან განსხვავებით ახლა მშვენივრად ითამაშა გუნდის ცენტრმა ალონზო მურნინგმა (13 მოხსნა, 4 დაფარება). მაგრამ მაიამი დამარცხდა, რითაც ამ ორი გუნდის სერიამ მეტი ინტრიგა შეიძინა. ამის მერე ორი მატჩი ნიუ იორკში, „მედისონ სკვერ გარდენში" გაიმართება, სადაც მაიამის 25-დან მხოლოდ 3 თამაში მოუგია.

სერიის ანგარიში 1:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ქართული სიტყვა




ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

არსებობენ ფასეულობები, რომლებიც არასოდეს ძველდებიან, რომლებსაც მხოლოდ ივიწყებენ ხოლმე, როგორც რაღაც უმნიშვნელოს, ან თავისთავად ცხადსა და გასაგებს. მაგრამ გადის დრო და საჭირო ხდება მათი ხელახალი აღმოჩენა.

საჭირო ხდება, რადგან ყველაზე მყარი და საიმედო სწორედ ის არის, რაც მრავალგზის გამოცდილია და ახალი დროის გამოცდას კვლავაც გაუძლებს. ტრადიციული ფასეულობები ერთნაირად გვჭირდება ყველგან, შინ და გარეთ, ოჯახსა და სამსახურში, პირად ცხოვრებასა თუ საქმიან ურთიერთობებში.

ნდობა, თანამშრომლობა, საიმედოობა...

სწორედ ეს მარტივი პრინციპებია ის პირველმიზეზი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ყოველივე ჩვენს საქმიანობაში. მტკიცე საძირკვლის გარეშე კეთილდღეობა ისევე სწრაფად ინგრევა, როგორც ქვიშაზე ნაგები სახლი. ნებისმიერ წამოწყებას მხოლოდ მაშინ გააჩნია მომავალი, როდესაც იგი ურთიერთგაგებას ეფუძნება.

ფასეულობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ქართუს ნაწარმის შექმნას, ჩვენ თქვენგან ვიღებთ და განივთებული სახით ისინი ახლა თქვენთან ბრუნდებიან.

ძველად სჯეროდათ, რომ ნივთთან ერთად ნივთის იდეაც არსებობს. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ ჩვენ შევძლებთ, რომ ჩვეულებრივი საგნებით ჩვენს ყოფას სითბო და სინათლე შევმატოთ.

ქართუ

**ფორმულა 1**
**IV ეტაპი**
**სან მარინოს დიდი პრიზი**

# ფინიში ისევ ვერცხლისფერია

**გასულ შაბათ-კვირას 200 ათასზე მეტმა იტალიელმა გულშემატკივარმა მიაშურა ენცო და დინო ფერარების ტრასას, რათა სან მარინოს დიდ პრიზზე ვარჯიშისას, კვალიფიკაციისას და რბოლისას მხარი დაეჭირათ „ფერარის" გუნდისთვის. მაგრამ მათ იმედი გაუცრუვდათ: „მაკლარენს" არც აქ ჰყავდა ტოლი, თუმცა კი შუმიმ და ირვინმა რბოლა პოდიუმზე დაასრულეს. ისინი ჩამორჩნენ მხოლოდ კულჰარდს, რომელმაც „მაკლარენს" 110-ე გამარჯვება მოუტანა.**

კვალიფიკაციისას ტრასაზე პირველი კვლავ ტუერო გამოჩნდა. მას ტრული მიჰყვა, შემდეგ დინიცმა აჩვენა საუკეთესო დრო. რბოლა „ფორდის" ძრავებისთვის სავალალო აღმოჩნდა: ჯერ როსეტის „ტირელი" აბოლდა, შემდეგ ნაკანოს „მინარდის" ძრავამ მოგვჭამა ჭირი. მოწინავეთაგან პირველი ვილნევი გამოვიდა ტრასაზე და პირველობაც იგდო ხელთ, შემდეგ ეს პატივი ბენეტონელ ვურცს ერგო. მერე „მაკლარენების" ჯერი დადგა და პირველ პოზიციაზე ჯერ კულჰარდი, შემდეგ კი ჰაკინენი აღმოჩნდნენ, მესამე დრო შუმისა იყო, ირვინმა კი ტრასა ვილნევზე სწრაფად გაიარა და მსოფლიოს ჩემპიონი ექვსეულს მიღმა აღმოჩნდა, თუმც საბოლოოდ მეექვსე სასტარტო პოზიციის დასაკუთრება შეძლო.

კვალიფიკაციის მიწურულს კულჰარდმა თანაგუნდელზე სწრაფად განვლო ტრასა და კარიერაში მე-7 პოული მოიპოვა. სტარტზე პირველი რიგი „მაკლარენებმა" დაიკავეს, მათ უკან „ფერარის" ბოლიდები დადგნენ, რომლებმაც ამ რბოლაში პირველად გამოიყენეს დამატებითი ფრთები.

მეხუთე სასტარტო პოზიცია ალექსანდრ ვურცს ერგო, რომლისთვისაც ეს საუკეთესო შედეგი გახლავთ კარიერაში. ჰილმა პირველად შეძლო რალფ შუმახერზე უკეთესი სასტარტო პოზიციის მოპოვება, ალეზიმ კი პირველად წააგო ჰერბერტთან.

რბოლას მშვენიერი დარი შეესწრო, სტარტიდან პირველები „მაკლარენის" პილოტები დაიძრნენ. მათ შუმი მიჰყვა, ამას კი ვილნევი ჩაუდგა კვალში, რომელმაც მარჯვენა მხრიდან მოახერხა ირვინის ჩამოცილება. კვლავ შესანიშნავად აიღო სტარტი ალეზიმ და რამდენიმე ადგილით წაიწია.

ვურცი კი ჰილის „ყვითელი კრაზანის" „კბენის" მსხვერპლი შეიქნა და დაზიანებული უკანა საბურავის შესაცვლელად მიაკითხა ბოქსებს, ჰილმაც შეცვალა დაზიანებული ბოლიდის წინა ნაწილი და ისე განაგრძო რბოლა. რუბენს ბარიჩელომ კი სტარტის სწორზევე დაკარგა უკანა ფრთა და რბოლაც დაამთავრა.

კულჰარდი ნელ-ნელა უმატებდა სიჩქარეს და მალე თანაგუნდელს 1,5 წამით უსწრებდა, ორივე ერთად კი თანდათან შორდებოდა შუმის „ფერარის", რომელიც თავის მხრივ ზრდიდა მანძილს ვილნევთან. რბოლა ამ მიმდევრობით გრძელდებოდა, მე-17 წრეზე კი ჰაკინენმა ტექნიკური პრობლემების გამო ბოქსებში შეუხვია და საიუბილეო მე-100 რბოლა იქ დაასრულა.

ირვინი ნელ-ნელა ეწეოდა ვილნევს, მაგრამ შეტევისთვის მოსახერხებელ დისტანციაზე მაინც ვერ ახერხებდა გასვლას. მათ უკან ფრენცენს ფიზიკელა უტევდა, რამდენჯერმე გასწრებაც სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, შემდეგ კი ერთ-ერთ მოსახვევში ბოლიდი ვერ დაიმორჩილა და ტრასას ასცდა. მალე მისი თანაგუნდელის ვურცის ბოლიდს აუვიდა ბოლი და „ბენეტონის" გუნდი უქულოდ დარჩა. პირველი პიტ-სტოპის წინ კულჰარდი 17 წამს უგებდა შუმის, ბოქსებს ორივემ თითქმის ერთდროულად მიაკითხა და ტრასაზეც ამავე თანმიმდევრობით დაბრუნდნენ. ირვინმა კი, რაც ასპარეზობისას ვერ მოახერხა, ბოქსებში შეძლო. მას მექანიკოსები სამი წამით უფრო სწრაფად მოემსახურნენ, ვიდრე ვილნევს და კანადელი „ფერარის" პილოტის უკან აღმოჩნდა. „უილიამსის" მექანიკოსების ზოზინმა ფრენცენსაც დააკარგვინა პოზიცია და ისიც ალეზის უკან მოექცა, თუმცა მეორე პიტ-სტოპის შემდეგ ამ პილოტებმა კვლავ გაცვალეს ადგილები. ვილნევს კი ისევ დიდხანს მოუწია ბოქსებში ყურყუტმა და კვლავ ირვინმა გაასწრო. ლიდერთა განლაგებაში არც საწვავის მეორედ შევსებას შეუტანია კორექტივები და კულჰარდი კვლავ ინარჩუნებდა უპირატესობას. რბოლის დამთავრებამდე 15 წრე რჩებოდა, შუმიმ სიჩქარეს უმატა და მალე წრის რეკორდიც დაამყარა, კულჰარდი კი ბოლიდს უფრთხილდებოდა და გერმანელს ნელ-ნელა მიახლოების საშუალება მისცა. საბოლოოდ, ფინიშზე შოტლანდიელმა 4,5 წამით აჯობა გერმანელს და კარიერაში მეოთხედ გაიხარა გამარჯვებით. მესამემ ირვინმა დაასრულა რბოლა. მის უკან მსოფლიოს ჩემპიონმა ვილნევმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. პირველ წარმატებას მიაღწია არგენტინელმა ტუერომაც, რომელმაც კარიერაში პირველად დაასრულა რბოლა.

კვლავ არ გაუმართლა „პროსტს": ჯერ იყო და, ტრულის ძრავი აბოლდა, შემდეგ კი, ფინიშამდე 6 წრით ადრე, პანის „პეჟოს" ეწია იგივე ბედი, თუმცა ამ უკანასკნელს საბოლოოდ მე-11 ადგილი ერგო. ვერც ჰილმა დაასრულა რბოლა, 57-ე წრეზე შეუხვია ბოქსებში და იქვე დარჩა. უიღბლოთა შორის აღმოჩნდა მიკა სალოც, რომელსაც სხვადასხვა მიზეზით ოთხჯერ მოუწია ბოქსებში შესვლამ და საბოლოოდ მეცხრე იყო ფინიშთან.

„მაკლარენმა" ამ სეზონში მესამედ გაიმარჯვა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჯერჯერობით ტოლი არ ჰყავს ფორმულა I-ის ტრასებზე. ერთადერთი გუნდი, რომელიც შედარებით მიუახლოვდა „ვერცხლისფერებს", „ფერარი" გახლავთ. შარშანდელი ტრიუმფატორი „უილიამსი" კი კვლავ ჩამორჩება მოწინავეთ, თუმც იმედი აქვს, რომ მომდევნო ეტაპზე შეძლებს მათთან შეტოქებას.

**ალეკო ჩაჩუკიანი**



რბოლის ჩვეული სურათი — „მაკლარენები" შუმის წინ

## რბოლის შედეგები

26 აპრილი. იმოლა. ენცო და დინო ფერარების ტრასა

**რბოლის დისტანცია**

62 წრე — 305.660 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | კულჰარდი | 1:34.24,593 (194,117 კმ/სთ) | 10 ქულა |
| 2. | მ. შუმახერი | ჩამორჩა 4,554 წამით | 6 |
| 3. | ირვინი | 51,776 წმ | 4 |
| 4. | ვილნევი | 54,590 წმ | 3 |
| 5. | ფრენცენი | 1.17,477 წთ | 2 |
| 6. | ალეზი | 1 წრით | 1 |
| 7. | რ. შუმახერი | 2 | |
| 8. | ტუერო | 2 | |
| 9. | სალო | 2 | |
| 10. | ჰილი | 5 | |
| 11. | პანი | 6 | |

**საუკეთესო წრე**

მ. შუმახერი (ფერარი) 1.29,345 (198,645 კმ/სთ) — 48-ე წრე

**ლიდერი**

კულჰარდი 1-62 წრე

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| როსეტი | გაიარა 48 წრე |
| ტაკაგი | 40 |
| ტრული | 34 |
| ნაკანო | 27 |
| დინიცი | 18 |
| ჰაკინენი | 17 |
| ვურცი | 17 |
| ფიზიკელა | 17 |
| ჰერბერტი | 12 |
| მაგნუსენი | 8 |
| ბარიჩელო | 0 |



**დევიდ კულჰარდი**

**დაიბადა 1971 წლის 27 მარტს, ტვინჰოლმში (შოტლანდია). ცხოვრობს მონაკოში.**

**დებიუტი ფორმულა 1-ში: 1994, ესპანეთის დიდი პრიზი, „უილიამს-რენო"**

**62 რბოლა, 4 გამარჯვება, 7 პოული, 5 საუკეთესო წრე, 140 ქულა**

დევიდ კულჰარდი ფორმულა-1-ში აირტონ სენას დაღუპვის შემდეგ გამოჩნდა და პირველივე სეზონი მე-8 ადგილზე დაასრულა. მომდევნო წელს კი პირველადაც გაიმარჯვა.

წლევანდელ ჩემპიონატში ორჯერ ჰქონდა გამარჯვების შანსი. პირველად ეს ავსტრალიის დიდ პრიზზე იყო: გუნდის ხელმძღვანელებმა ჰაკინენი შეცდომით გამოიძახეს ბოქსებში და კულჰარდი დაწინაურდა, მაგრამ თანაგუნდელთან შეთანხმების შესაბამისად პირველობა ფინელს დაუბრუნა. შემდეგ ბრაზილიაში პირველი დაიძრა სტარტიდან, მაგრამ მეხუთე წრეზე შუმიმ ძალისმიერი ილეთით ჩამოაშორა ლიდერობას. ამ ინციდენტს შოტლანდიელი პილოტი იმოლაში რბოლის წინაც იხსენებდა და ამბობდა: „არმინდა ვყო წესების გარეშე ბრძოლის მონაწილე. მიკვირს, რატომ არ მოჰყვა ამ შეჯახებას სათანადო გამოხმაურება. ეს ინციდენტი წლების წინ რომ მომხდარიყო, შეიძლება მსხვერპლი მოჰყოლოდა. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ეს სახიფათო სპორტია და არ უნდა დავივიწყოთ რბოლის ეთიკა. მე ყველა რბოლას წესების დაცვით ვატარებ და ეს ის ერთადერთი გზაა, რომლითაც მინდა, გამარჯვებამდე მივიდე".

იმოლაში კულჰარდს გამარჯვება სათუო არ გაუხდია, მთელი რბოლა ლიდერობდა და ძირითადი მეტოქე, შუმი ახლოსაც არ გაიკარა, რათა მას შანსი არ მისცემოდა, ჩვეული ილეთი გაემეორებინა. მართალია, რბოლის ბოლოს სიჩქარეს უკლო, მაგრამ 4,5 წამით მაინც აჯობა გერმანელს და კარიერაში მეოთხედ გაიმარჯვა.

## განლაგება სტარტზე

| | |
|---|---|
| 20 როსეტი 1.31,482 ტირელი | 22 ნაკანო 1.31,255 მინარდი |
| 19 მაგნუსენი 1.31,017 სტიუარტი | 23 ტუერო 1.30,649 მინარდი |
| 16 დინიცი 1.29,932 ეროუსი | 18 ბარიჩელო 1.29,641 სტიუარტი |
| 12 ტრული 1.29,584 პროსტი | 21 ტაკაგი 1.29,073 ტირელი |
| 17 სალო 1.28,798 ეროუსი | 11 პანი 1.28,270 პროსტი |
| 14 ალეზი 1.28,191 ზაუ ბერი | 15 ჰერბერტი 1.28,111 ზაუ ბერი |
| 5 ფიზიკელა 1.27,937 ბენეტონი | 10 რ. შუმახერი 1.27,866 ჯორდანი |
| 2 ფრენცენი 1.27,645 უილიამსი | 9 ჰილი 1.27,592 ჯორდანი |
| 1 ვილნევი 1.27,390 უილიამსი | 6 ვურცი 1.27,273 ბენეტონი |
| 4 ირვინი 1.27,169 ფერარი | 3 მ. შუმახერი 1.26,437 ფერარი |
| 8 ჰაკინენი 1:26,075 მაკლარენი | 7 კულჰარდი 1.25,973 მაკლარენი |

**FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP**

| | | ავსტრალია 8 მარტი | ბრაზილია 29 მარტი | არგენტინა 12 აპრილი | სან მარინო 26 აპრილი | ესპანეთი 10 მაისი, 16:00 | მონაკო 24 მაისი, 16:30 | კანადა 7 ივნისი, 21:00 | საფრანგეთი 28 ივნისი, 16:00 | დიდი ბრიტანეთი 12 ივლისი, 17:00 | ავსტრია 26 ივლისი, 16:00 | გერმანია 2 აგვისტო, 16:00 | უნგრეთი 16 აგვისტო, 16:00 | ბელგია 30 აგვისტო, 16:00 | იტალია 13 სექტემბერი, 16:00 | ლუქსემბურგი 27 სექტემბერი, 16:00 | იაპონია 1 ნოემბერი, 08:00 | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჰაკინენი (ფინეთი) მაკლარენ-მერსედესი | 10 | 10 | 6 | – | | | | | | | | | | | | | 26 |
| 2 | კულჰარდი (ბრიტანეთი) მაკლარენ-მერსედესი | 6 | 6 | 1 | 10 | | | | | | | | | | | | | 23 |
| 3 | მ. შუმახერი (გერმანია) ფერარი | – | 4 | 10 | 6 | | | | | | | | | | | | | 20 |
| 4 | ირვინი (ბრიტანეთი) ფერარი | 3 | – | 4 | 4 | | | | | | | | | | | | | 11 |
| 5 | ფრენცენი (გერმანია) უილიამს-მეკაქრომი | 4 | 2 | – | 2 | | | | | | | | | | | | | 8 |
| 6 | ვურცი (ავსტრია) ბენეტონ-მეკაქრომი | – | 3 | 3 | – | | | | | | | | | | | | | 6 |
| 7 | ვილნევი (კანადა) უილიამს-მეკაქრომი | 2 | – | – | 3 | | | | | | | | | | | | | 5 |
| 8 | ალეზი (საფრანგეთი) ზაუბერი | – | – | 2 | 1 | | | | | | | | | | | | | 3 |
| 9 | ჰერბერტი (ბრიტანეთი) ზაუბერი | 1 | – | – | – | | | | | | | | | | | | | 1 |
| 10 | ფიზიკელა (იტალია) ბენეტონ-მეკაქრომი | – | 1 | – | – | | | | | | | | | | | | | 1 |
| 1 | მაკლარენ-მერსედესი | 16 | 16 | 7 | 10 | | | | | | | | | | | | | 49 |
| 2 | ფერარი | 3 | 4 | 14 | 10 | | | | | | | | | | | | | 31 |
| 3 | უილიამს-მეკაქრომი | 6 | 2 | – | 5 | | | | | | | | | | | | | 13 |
| 4 | ბენეტონ-მეკაქრომი | – | 4 | 3 | – | | | | | | | | | | | | | 7 |
| 5 | ზაუბერი | 1 | – | 2 | 1 | | | | | | | | | | | | | 4 |

*შენიშვნა:* სტარტი ჩვენი დროით

## პლეი ოფი. პირველი წრე

# დეტროიტმა ფრთები დაუშვა

დასავლეთი

**კოლორადო 2:1 ედმონტონი**

**კოლორადო — ედმონტონი 5:2**

**(2:0, 2:1, 1:1)**

**შაიბები:** კამენსკი 1(1:0), ფორსბერგი 3(2:0), გერინი 2(2:1), საკიკი 1(3:1), ფორსბერგი 4(4:1), კამენსკი 2(5:1), გერინი 3(5:2).

**ედმონტონი — კოლორადო 4:5**

**(0:2, 2:1, 2:1, 0:1)**

**შაიბები:** დედმარში 1(0:1), ლემიე 1(0:2), მირონოვი 2(1:2), დედმარში 2(1:3), უეიტი 1(2:3), ლემიე 2(2:4), გერინი 4(3:4), ბუკშერგერი 1(4:4), საკიკი 2(4:5)

კოლორადოს თავდამსხმელმა კლოდ ლემიემ აღფრთოვანება ვერ დამალა თავისი მუდმივი პარტნიორის, პეტერ ფორსბერგის საოცარი თამაშით: „პლეი ოფში ხშირად მიხდებოდა სუპერფორვარდების განეიტრალება. მადლობა ღმერთს, პეტერი ახლა ჩემი თანაგუნდელია, რადგან არა მგონია, რაიმე მომემოქმედებინა მის შესაჩერებლად". რაღა გვეთქმის, შვედმა ვარსკვლავმა ნამდვილად დაიმსახურა ეს ქება სერიის პირველი სამი მატჩის შემდეგ. პირველ შეხვედრაში ფორსბერგი ისე გააგულისა „მენავთობეთა" უხეშობამ, რომ, ფაქტობრივად, მარტო გაუსწორდა მეტოქეს, მატჩის მიწურულს კი, როცა სიტუაცია უაღრესად გამწვავდა, თავადაც ჩაება ჯგუფურ შეხლა-შემოხლაში. „ეველანშმა" არც ჩხუბში დაუდო ტოლი „ოილერსს", რაც სეზონის განმავლობაში შეძენილი რამდენიმე „მეომრის" წყალობა გახლავთ. ეტყობა, ეს ედმონტონმაც შეიგნო და სერიის მესამე თამაშში ველარ გაბედა კოლორადოელთა დაშინება. ოვერტაიმის მე-16 წუთზე საკიკმა მოულოდნელი დარტყმით „ეველანში" დააწინაურა სერიაში.

**დალასი 2:1 სან ხოსე**

**დალასი — სან ხოსე 5:2**

**(2:0, 2:0, 1:2)**

**შაიბები:** ლეჰტინენი 1(1:0), ჰეჩერი 2(2:0), ვერბიკი 1(3:0), ჰოუგი 1(4:0), ჰოულდერი 1(4:1), ვერბიკი 2(5:1), კრეივენი 1(5:2)

**სან ხოსე — დალასი 4:1**

**(0:1, 2:0, 2:0)**

**შაიბები:** ზუბოვი 1(0:1), მაკლინი 1(1:1), ნოლანი 2(2:1), აიეფრეიტი 1(3:1), რატიე 1(4:1)

მეორე შეხვედრის იოლად მოგების შემდეგ ბევრს ეგონა, რომ ფავორიტ დალასს არანაირი პრობლემები აღარ ექნებოდა, მაგრამ ურჩმა კალიფორნიელებმა უხეშობით მიაღწიეს თავისას: ჯერ იყო და, ბრაიან მარჩმენტმა წლეულს მესამე დალასელი, ჯო ნუინდაიკი აზარალა, მერე კი ახლახან გამოჯანმრთელებულმა მაიკ მოდანომ მიიღო ტვინის შერყევა სანხოსელ რაგნარსონთან შეჯახებისას. გაცხარებულ დალასელებს ძალიანაც კი სურდათ, მეტოქისთვის საკადრისი მიეზღოთ, მაგრამ ხშირი ჯარიმების გამო თავად დაისაჯნენ.

**დეტროიტი 1:2 ფინიქსი**

**დეტროიტი — ფინიქსი 4:7**

**(1:2, 2:4, 1:1)**

**შაიბები:** გარტნერი 1(0:1), ტკაჩუკი 1(0:2), ლარიონოვი 1(1:2), ტოკეტი 3(1:3), რენიკი 1(1:4), რენიკი 2(1:5), დანდენო 1(2:5), ტკაჩუკი 2(2:6), ფიოდოროვი 2(3:6), ტოკეტი 3(3:7), ფიოდოროვი 3(4:7)

**ფინიქსი — დეტროიტი 3:2**

**(0:2, 0:0, 3:0)**

**შაიბები:** ფიოდოროვი 4(0:1), შენაჰანი 1(0:2), ტოკეტი 4(1:2), რენიკი 3(2:2), რენიკი 4(3:2)

ალბათ, ვერავინ ახსნის იმ ფაქტს, რატომ გაუშვეს 7 შაიბა სერიის მეორე თამაშში 3:1 დაწინაურებულმა „წითელფრთიანებმა" — ეს ხომ ბოლო ოთხი წლის მანძილზე პირველად მოხდა. არც მესამე შეხვედრამ დააყარა ხეირი დეტროიტელებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ პირველივე წუთზე 2 გოლი გაიტანეს და მთელი ორი პერიოდი ინარჩუნებდნენ უპირატესობას. ისევ სტუმართა მეკარე კრის ოსგუდმა „იყოჩაღა", რომელმაც ორი შორეული დარტყმა ვერ მოიგერია. ამის შემდეგ „კოიოტების" ცენტრფორვარდ ჯერემი რენიკს, რომელმაც ბოლო 2 შეხვედრაში 4 გოლი და 2 პასი გააზერხა, არ გასჭირვებია, ამ თამაშშიც გამორჩეულიყო.

**სენტ ლუისი 2:0 ლოს ანჯელესი**

**სენტ ლუისი — ლოს ანჯელესი 2:1**

**(0:0, 1:1, 1:0)**

**შაიბები:** პრონგერი 1(1:0), მიურეი 2(1:1), კემპბელი 3(2:1).

კალიფორნიელებს, შესაძლოა, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პლეი ოფში პირველად ასპარეზობის სიხარული ჩაუმწარდეთ, თუ მომდევნო ორ საშინაო მატჩში რაიმეს არ მოიმოქმედებენ. თუმცა არც სენტ ლუისი აპირებს ნაადრევი გამარჯვებით ტკბობას — გუნდის სნაიპერის ბრეტ ჰალის თქმით, სერია მხოლოდ ახლა იწყება.

აღმოსავლეთი

**ვაშინგტონი 2:1 ბოსტონი**

**ვაშინგტონი — ბოსტონი 3:4**

**(1:0, 1:0, 1:3, 0:0, 0:1)**

**შაიბები:** ტიკანენი 2(1:0), იუჰანსონი 1(2:0), ელისონი 1(2:1), აქსელსონი 1(2:2), ვანიმპი 1(2:3), გონჩარი 2(3:3), ვან იმპი 2(3:4)

**ბოსტონი — ვაშინგტონი 2:3**

**(0:1, 1:1, 1:0, 0:0, 0:1)**

**შაიბები:** გონჩარი 3(0:1), გონჩარი 4(0:2), მაკლარენი 1(1:2), ხრისტიჩი 2(2:2), ჟიუნო 1(2:3)

როგორც ჩანს, სწორედ ეს წყვილი გაჩაღებს ყველაზე დაძაბულ ბრძოლას: ზედიზედ მეორედ, გამარჯვებული მეორე ოვერტაიმში ვლინდება, თანაც, ახალგაზრდა „დათვები" არ უშინდებიან გამოცდილ მეტოქეს.

**ნიუ ჯერსი 1:2 ოტავა**

**ნიუ ჯერსი — ოტავა 3:1**

**(1:1, 1:0, 1:0)**

**შაიბები:** მიურეი 1(0:1), ანდრეიჩუკი 1(1:1), გილმორი 2(2:1), გილმორი 3(3:1)

**ოტავა — ნიუ ჯერსი 2:1**

**(0:0, 1:1, 0:0, 1:0)**

**შაიბები:** კარპენტერი 1(0:1), ლაუკანენი 1(1:1), იაშინი 2(2:1)

სერიის დაწყებამდე ნიუჯერსელები იმედიანად იყვნენ და მხოლოდ ალექსეი იაშინის განეიტრალება აღარდებდათ. არცთუ ტყუილად — რუსმა ფორვარდმა ააწიოკა ლიგის საუკეთესო დაცვა და სერიის მესამე შეხვედრაში მის მიერ გატანილი გადამწყვეტი გოლიც სრულიად ლოგიკურად გამოიყურება. ამ წყვილის ორთაბრძოლა, ისევე, როგორც დეტროიტისა და ფინიქსისა, ჯერჯერობით ყველაზე მოულოდნელად მიმდინარეობს.



კოლორადო — ედმონტონი. კოლორადოელი დედმარშის მეორე გოლი ედმონტონის კარში

**ფილადელფია 1:1 ბუფალო**

**ფილადელფია — ბუფალო 3:2**

**(1:0, 1:0, 1:2)**

**შაიბები:** ლინდროსი 1(1:0), გრეტონი 2(2:0), გროშეკი 2(2:1), უორდი 1(2:2), ლეკლერი 1(3:2)

ლინდროსისა და ჰეშეკის დაპირისპირებაში ჯერჯერობით ვერც ერთმა იმარჯვა, თუმცა მეორე შეხვედრაში გაცხარებულმა „მფრინავმა" (1+1) გვარიანად შეაშფოთა მრისხანე მეტოქე.

**პიტსბურგი 1:1 მონრეალი**

**პიტსბურგი — მონრეალი 4:1**

**(1:1, 1:0, 2:0)**

**შაიბები:** ოლჩიკი 1(1:0), დამფუსი 1(1:1), ბარნსი 1(2:1), ბარნსი 2(3:1), ფრენსისი 1(4:1)

პირველ თამაშში „პინგვინთა" წამყვანი სამეულის შეჩერება მონრეალმა საინტერესო სიახლით — სამი მცველის გამოყენებით სცადა. მაშინ კანადელებს გაუმართლათ, მეორე შეხვედრაში კი იაგრ (3 პასი) — ფრენსის — ბარნსის ტრიოს ვერაფერი მოუხერხეს, თანაც ამ უკანასკნელმა 2 ლამაზი გოლითაც „დაასაჩუქრა" ისინი.

**სამველ ლარიბიანი**



# იმედების მსხვრევა მონაკოში



კარლოს მოია

მონაკო. მონტე კარლოს ღია პირველობა. ტარდება თიხნარზე. საპრიზო 2,45 მილიონი $

**მეოთხედფინალი:** რიჩარდ კრაიჩეკი (7, ჰოლანდია) — პეტერ კორდა (2, ჩეხეთი) 4:6, 7:6 (7:1), 6:1; ალბერტო ბერასატეგი (12, ესპანეთი), — ბორის ბეკერი (გერმანია) 6:7 (4:7), 7:5, 6:1; კარლოს მოია (14, ესპანეთი) — ალექს კორეჩა (6, ესპანეთი) 6:3, 6:2; სედრიკ პიოლინი (10, საფრანგეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 1:6, 6:2, 6:4.

პეტერ კორდას წლეულს უკვე მეოთხედ მიეცა მსოფლიოს პირველ ჩოგნად გახდომის შანსი და, წინა სამის მსგავსად, ახლაც ხელი მოეცარა. კლასიფიკაციის პირველ საფეხურზე ასაღზევებლად ჩეხს მონტე კარლოს ტურნირის ფინალში გასვლაც ჰყოფნიდა, მაგრამ მეოთხედფინალში ჰოლანდიელმა რიჩარდ კრაიჩეკმა გადაუღობა გზა.

1996 წლისა უიმბლდონის ჩემპიონმა კრაიჩეკმა, რომელიც მონტე კარლოში ბინადრობს, კვირის დასაწყისში მეუღლე და ერთი თვის ქალიშვილი ემა ნორმალურად გამოძინების მიზნით მშობლიურ ჰოლანდიაში გაისტუმრა. ბავშვის შეძენით გამოწვეული ხანგრძლივი შესვენების შემდეგ თავის პირველ პირველობას სრულ საბრძოლო მზადყოფნაშიც შეხვდა.

პირველი ხელი კორდასი იყო — ჩეხი თავიდან 5:2 დაწინაურდა და მიუხედავად იმისა, რომ მეტოქემ ანგარიშიც შეუმცირა და გათანაბრებამდეც ერთი ბურთილა დააკლდა, უპირატესობა, წინა შეხვედრისგან განსხვავებით, მაინც შეინარჩუნა. მეორე სეტიდან კრაიჩეკს თავისი კოზირი — პირველი მოწოდებები წაუვიდა, იქეთ კორდას ზურგის ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და თამაში თანდათან გათანაბრდა, ტაი-ბრეიკის შემდეგ კი ჰოლანდიელის გამჩერებელი კაცი აღარ იყო.

კორდამ ტრავმის გამო იმავე დღეს წყვილებში ასპარეზობაზე უარი განაცხადა, თუმცა წაგება ზურგის ტკივილისთვის არ დაუბრალებია, ის ბიჭი დღეს, უბრალოდ, უკეთ თამაშობდა, მესამე ხელში კი სულმთლად გადამთელაო. ჩეხს პრესკონფერენციაზე პირველი ჩოგნობის თაობაზეც მოუწია კითხვებზე პასუხის გაცემამ: „თამაშში მთელ სულსა და გულს ვაქსოვ, კლასიფიკაციაში წინ წაწევაც თქვენზე მეტად მინდა და მეტი რაღა უნდა ვქნა? ფსიქოლოგიურ მოუმზადებლობაზე საუბარი უკვე ყელში ამომივიდა, ერთ დღესაც ყველაფერი აეწყობა, პირველი გავხდები და ყველას ენას ჩაგაგდებინებთ."

ჯერჯერობით კი კორდას წაგებამ პიტ სამპრასს, რომელმაც წინა დღეს რვა წლის განმავლობაში უმწარესი მარცხი იწვნია, ორშაბათიდან კლასიფიკაციის სათავეში დაბრუნება გაუნაღდა. ჩეხი მეორე ადგილზე გადაბარგდა, ტრავმირებული მარსელო რიოსი კი პირველიდან მესამეზე დაეშვა.

მეოთხედფინალში კორდას გარდა კიდევ ერთი ვეტერანის — 30 წლის გერმანელი ბორის ბეკერის იმედებსაც არ ეწერა ასრულება. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი მონტე კარლოში სამჯერ ყოფილა ფინალში, ერთხელ, 1995-ში, ტომას მუსტერთან მატჩ-პოინტებიც ჰქონია, მაგრამ ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში სათიხნარო ტურნირის მოგება ვერც ერთხელ მოუხერხებია. მანამდე რუზეცკისა და ფილიპუსისის გამგდებ გერმანელს ამჯერად წინ ესპანელი ალბერტო ბერასატეგი გადაეღობა.

ბეკერმა ტრადიციული ცუდი სტარტის მიუხედავად პირველ ხელში ტაი-ბრეიკს მაინც უწია, იქ პირველივე გათამაშებაში გვარიანი ზღართანი მოადინა, მაგრამ ნახტომში შესანიშნავი ბურთიც ჩააგდო და გადამწყვეტი გეიმის გამარჯვებამდე მიყვანა არც გასჭირვებია. მეორე სეტში არაფერი შეცვლილა — გერმანელი ისევ ბადესთან გასვლებს აგრძელებდა, ბერასატეგი კი უკანა ხაზიდან საფირმო ფორჰენდისა და შემოვლებების იმედზე იყო. წესით და რიგით, საქმე ისევ ტაი-ბრეიკამდე უნდა მისულიყო, მაგრამ ბეკერმა მეთორმეტე გეიმში ორმაგი შეცდომების გამო საკუთარი მოწოდება დაკარგა, მესამე ხელისთვის კი ძალა აღარ ეყო.

მარცხის მიუხედავად, სანახევროდ პენსიაზე გასული გერმანელი საკუთარი თამაშით უკმაყოფილო არ დარჩენილა — იგი ხომ შარშანდელი უიმბლდონის შემდეგ პირველ მოეთხედფინალში გავიდა და, თავისივე თქმით, ამ წუთისათვის საუკეთესო მეთიხნარესთან დამარცხდა. მატჩის შემდეგ ბორისმა გულშემატკივრობისთვის ყველას მადლობა მოუხადა და თავისი მეუღლის — ბარბარას განსაცვიფრებლად განაცხადა, აქ ჯერ კიდევ ჭაბუკობის დროიდან დავდივარ და შეიძლება, გაისადაც ვითამაშოო.

**ნახევარფინალი:** სედრიკ პიოლინი — ალბერტო ბერასატეგი 6:3, 0:6, 7:6 (7:5); კარლოს მოია — რიჩარდ კრაიჩეკი 4:6, 6:1, 6:4.

სედრიკ პიოლინმა შაბათს ნამდვილი საჩოგბურთო გმირობა ჩაიდინა. ფრანგი შესანიშნავ ფორმაში მყოფ ალბერტო ბერასატეგისთან პირველი ხელის მოგებამ ისე გადაღალა, მეორე მშრალზე წააგო და გადამწყვეტ პარტიაშიც, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიუხედავად, 1:5-ს აგებდა. ასე რომ, როდესაც მომდევნო გეიმში პიოლინს ორი მატჩ-პოინტი გაუხდა გადასარჩენი, მის მარცხში დარწმუნებულ მეტწილად ფრანგ მაყურებლებს თანამემამულის განმხნევებაც კი არ უცდიათ. პიოლინმა სამარისებურ სიჩუმეში დააღწია თავი მძიმე სიტუაციას და ტრიბუნებზე მსხომთ გულშემატკივრობისკენ მოუწოდა, მერე კი ბერასატეგის გონს მოსვლამდე გაუთანაბრა ანგარიში და ტაი-ბრეიკზე გამარჯვებაც გამოსტაცა, ამჯერად ოვაციებისგან მოღრიალე და ერთიანად ფეხზე წამომდგარი მაყურებლების თვალწინ. „ერთი ხანობა გაქანებაც აღარ შემეძლო, მაგრამ შევეცადე, გულით მეთამაშა და ყველაფერი გამეღო, რაც კი შემრჩა" — ახსნა პიოლინმა.

**ფინალი:** კარლოს მოია — სედრიკ პიოლინი 6:3, 6:0, 7:5.

„გუშინ სასწაული მოხდა, მაგრამ მან მთელი ძალაც გამომაცალა" — ასე იმართლა თავი დამარცხებულმა მატჩის შემდეგ. მართლაც, სედრიკ პიოლინს ბერასატევის დამარცხება [illegible] იდაყვის ტრავმადაც დაუჯდა, რის გამოც მოიასთან მისი გამარჯვება კიდევ უფრო სათუო შეიქნა, მით უმეტეს, რომ ფრანგს ფინალებში ისეც მეტად მოკრძალებული შედეგი — ორი მოგება და თერთმეტი მარცხი ჰქონდა.

ესპანელმა, რომელიც წინა ორი ტურნირის ნახევარფინალში პიოლინის გაგდებული ბერასატეგისთან დამარცხდა, მადლობის ნაცვლად ფრანგი თავიდანვე შეაჭირვა კორტის კიდეებში სირბილით და ერთი ხანობა ზედიზედ 9 გეიმიც მოუგო, გადამწყვეტ ხელში კი ზედიზედ ექვსი ბრეიკის შემდეგ მეტოქეს მოწოდება კიდევ ერთხელ აართვა მშრალზე და საათსა და 57 წუთში კარიერაში პირველი ზე-9-ის ტიტული მიითვალა, მერე კი ბრძანა, ეს ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვებააო.

თუ 21 წლის ესპანელის მიერ ამ კვირაში ძლეულთა სახელებს — ტომას მუსტერს, ალექს კორეჩას, ევგენი კაფელნიკოვს, რიჩარდ კრაიჩეკს — გადახედავთ, მონტე კარლოში მის მიერ მითვლილი 361 ათასი დოლარი იქნებ კაცს ცოტადაც კი მოგეჩვენოს.

**წყვილების ფინალი:** იაკო ელტინგო და პოლ ჰაარჰიუსი (2, ჰოლანდია) — ტოდ ვუდბრიჯი და მარკ ვუდფორდი (2, ავსტრალია) 6:4, 6:2.

ორლანდო. აშშ-ის სათიხნარო ჩემპიონატი. საპრიზო 315 ათასი $

**ნახევარფინალი:** მაიკლ ჩანგი (1, აშშ) — მიქაელ ტილსტრომი (შვედეთი) 6:3, 6:4; ჯიმ კურიე (3, აშშ) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 4:6, 6:3, 6:2.

**ფინალი:** კურიე — ჩანგი 7:5, 3:6, 7:5.

როლან გაროსის ორ ყოფილ ჩემპიონს შორის გამარჯვებულს ორ საათსა და 45-წუთიანი ფინალის შემდეგ მთავარი ჯილდოს ხელში ასაღებადაც კი დახმარება დასჭირდა — ჯიმ კურიეს ფინალის დღეს ცალკე მუცლის გვრემა აწუხებდა და ცალკე ბევრი სირბილით გამოწვეული ფეხის კრუნჩხვები, თუმცა ამას იუნიორობისდროინდელი ოთახის მეზობელთან პირად შეხვედრებში ანგარიშის გასათანაბრებლად (11:11) და კარიერის 23-ე ტიტულის მისათვლელად ხელი არ შეუშლია.

**ავთანდილ სვანიძე**


მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები

დამცავი ჟალუზები

მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

თბილისი, გუდიაშვილის 11, ტელ.: 99 47 53,

მობილური: 8 77 41 72 57; 8 77 41 72 37

e-mail dato@acacia.postnet.ge



სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის

ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი

ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი

თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი

გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ილია ბაბუნაშვილი

ვახტანგ ბზიკაძე

ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:

ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შენგელაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:

გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში

იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში

დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:

გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები:

მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:

ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი

გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29